# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 12 მარტი, 2011 წელი.

№46 (6658)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## დაეხსნებიან „უპატრონო ეკლესიას“ იქაურობას დაპატრონებული „ეშმაკები“? ⑤

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას უპასუხებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო





## ქართველები ავღანეთში, ანუ მირ-ვეისიდან - ბენ-ლადენამდე

ანტიტერორისტული ოპერაცია – ამის მოფიქრება არ გინდა, რომ გაგანია ომს ასეთი უწყინარი, ჰუმანური სახელი უწოდო? რით არის უკეთესი ეს კომუნისტების მოგონილ ე.წ. ინტერნაციონალურ ვალის მოხდაზე? ③

## აფხაზეთში ნათესავებისა და ახლობლების საფლავების სანახავად, შესაძლოა, საქართველოდან დელეგაცია შეუშვან ⑧

## ინვესტიციების „დამშრალ წყაროსთან“ ②

ისრაელმა ჩვენთან ურთიერთობა გაწყვიტა?

## ეკონომიურია თუ არა ცემენტ-ბეტონის საფარით საავტომობილო გზების გაყვანა? ③



## დიქტატურის პრევენცია სააკაშვილისა და ② კადაფის მსგავს ლიდერებს მოარჯულებს

## ბანკებმა და საპროცესო გარიგებებმა 5 ათასი ოჯახი უბინაოდ დატოვა ⑤

## ვინ ასწავლის ბუღალტრებს საბუთების შევსებას?

## თბილისის წყალი ევროპის მასშტაბით ყველაზე ხარისხიანი ყოფილა ②



## რუსეთთან სავაჭრო პრობლემების მოგვარებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში უნდა შევეცადოთ ②

*კვირაძალის საკითხავი*



ვარსკვლავი ვარსკვლავის ხვედრი ⑥ ⑦





ადამიანი არასდროსაა მარტო...



ვარაუდი

# რუსეთთან საბაჟო პრობლემების მოგვარებას მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაში უნდა შევეცადოთ

**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის სავარაუდო გაწევრებასთან დაკავშირებით ქართულ-რუსულ კონსულტაციებზე, ქართული მხარის პოზიციების გაზიარების ალბათობასა და მოლაპარაკებათა სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი" ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავას ესაუბრა.**



**— ბატონო ლადო, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრებასთან დაკავშირებით ბერნში ქართულ-რუსული მოლაპარაკებები დაიწყო. ქართული მხარე რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთისა და როკის მონაკვეთებზე საბაჟო გამშვები პუნქტების გახსნას ითხოვს. რამდენად მიღწევადია ქართული მხარის მოთხოვნა?**

— ქართული მხარის მოთხოვნა აბსოლუტურად სამართლიანი და სწორია. ასეთი დაშვება რომ გავაკეთოთ — რუსეთი რომ იყოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და საქართველოს სურდეს მასში გაწევრება, რა მოთხოვნას დაუყენებდა რუსეთი საქართველოს? პირველ რიგში ეს იქნებოდა მოთხოვნა — საქართველო მოსაზღვრე ქვეყნებთან (და ასეთ ქვეყნებად რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს განიხილავს), შესულიყო საბაჟო კავშირში ან შესულიყო საბაჟო ურთიერთობებში, ანუ გაეხსნა საბაჟოები ზუგდიდში, ერგნეთსა და ახალგორთან. ეს იქნებოდა რუსეთის მხრიდან საკმაოდ მკაცრი მოთხოვნა.

რეალურად კი ასეთი ვითარებაა, ჩვენ მსო-ს წევრი ვართ, საქართველო თავის საზღვრებში არის აღიარებული გაეროს, მსოფლიოს უმრავლესი სახელმწიფოების მიერ და, აქედან გამომდინარე, საქართველოს აქვს ყველანაირი სამართლიანი უფლება, მოითხოვოს, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა საერთაშორისო თამაშის წესებზე იყოს დამყარებული. ეს ნიშნავს — საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის გადაკვეთა იმ ნაციონალურ კანონმდებლობას უნდა ექვემდებარებოდეს, რომელიც ორ ქვეყანას შორის საბაჟო ურთიერთობას არეგულირებს. საქართველოს მოთხოვნა სამართლიანია, — ეს ესმის საერთაშორისო თანამეგობრობას, რომელიც ჩვენ მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში გვეხმარება.

რაც შეეხება ქართული მხარის მოთხოვნის მიღწევადობას, ეს მართლაც რთული მისაღწევია. დღეს მთელ მსოფლიოს ხელს აძლევს რუსეთის მსო-ში გაწევრება, მათ შორის — სტრატეგიულ პარტნიორებს აშშ-სა და ევროკავშირს. რომ არ გვქონდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა, ჩვენთვისაც ბევრად უკეთესი იქნებოდა რუსეთის მსო-ში წევრობა, ვინაიდან იგი უფრო პროგნოზირებადი გახდებოდა. მაგრამ ობიექტურად, ჩვენ პოზიციებს ვერ დავთმობთ.

არ არის გამორიცხული, რომ კომპრომისული ნაბიჯის გადადგმა მოგვიხდეს. ამაზე მიუთითებს ამერიკული მხარის მოთხოვნა, რომ ქართული მხარე კონსტრუქციული იყოს. ისე გამოდის, თითქოს ჩვენი მოთხოვნები რუსეთ-საქართველოს აფხაზეთისა და როკის მონაკვეთებზე საბაჟო პუნქტების გახსნის შესახებ არაკონსტრუქციულია და სხვა კონსტრუქციული წინადადებები უნდა გავიზიაროთ. ასეთ ვითარებაში, უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია, ავამოქმედოთ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია, რომლის წევრი რუსეთი 1992 წლიდან, ხოლო ჩვენ 1993 წლიდან ვართ. ეს ორგანიზაცია მოწოდებულია, დაარეგულიროს საბაჟო ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყანას შორის; ეს არის ორგანიზაცია, რომელიც საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან, რომლის განშტოებაც პრაქტიკულად არის. იმავდროულად, ეს არის ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ნარკოტიკებზე ზედამხედველობის სამსახურთან და უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტულ კომიტეტთან. ამიტომ, საქართველო რუსეთთან საბაჟო პრობლემების მოგვარებას არა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, არამედ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაში უნდა შეეცადოს. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ფუნქციებიდან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან ამგვარი ნაბიჯის გადადგმა ყველანაირად გამართლებულია.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## დიქტატურის პრევენცია სააკაშვილისა და კადაფის მსგავს ლიდერებს მოარჯულებს

**ლეიბორისტული პარტია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოუწოდებს, შეიმუშაოს საგანგებო კონვენცია, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ პირს, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტად ზედიზედ ორი ვადით აირჩევენ, მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალება.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტების ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ამ გზით გაერო დიქტატურის პრევენციას შეძლებს და გამორიცხავს ისეთი ადამიანების მიერ ძალაუფლების დიდი ხნით ხელში ჩაგდებას, როგორებიც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი არიან.**

**— საერთაშორისო სამართლით დაცულები არიან ვეშაპები, გადამფრენი ფრინველები და ასე შემდეგ, თუმცა სამართალში არაფერია ნათქვამი ადამიანების დიქტატორებისაგან დაცვის შესახებ, — განაცხადა ნათელაშვილმა და დასძინა, რომ შესაბამისი კონვენციის შექმნის შესახებ განცხადებით ლეიბორისტებმა გაეროს უკვე მიმართეს.**

## სამონასტრო კომპლექსის დაზიანების ფაქტს კომისია შეისწავლის

**დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალი დოდოს რქის ეკლესიის დაზიანების ფაქტს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების საბჭოს ექსპერტები შეისწავლიან. ისინი ერთობლივად შეაფასებენ კომპლექსში ამჟამად არსებულ ვითარებას.**

**დოდოს რქის სამონასტრო კომპლექსში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები არც საპატრიარქოსთან და არც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული არ ყოფილა.**

**როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, მოხდა უკანონო ქმედება, რომელიც არღვევს ძეგლთა დაცვის პრინციპებს. შექმნილი კომისია ადგილზე შეისწავლის არსებულ მდგომარეობას და განსაზღვრავს იმ გზებს, რომლებიც ძეგლს შემდგომი დაზიანებისაგან იხსნის.**

მედიანიუსი

ოკუპირებული ტერიტორია

## საქართველოს ტერიტორიაზე მესაზღვრეთა რაოდენობას ზრდიან

**რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილის ვიაჩესლავ დოროხინის განცხადებით, ცხინვალის რეგიონში რუსი მესაზღვრეების რაოდენობა 300-ით გაიზარდა და ამ დროისთვის ის 1 200-ს შეადგენს.**

**მისივე განმარტებით, მესაზღვრეთა რაოდენობა გაიზარდა აფხაზეთში და ამ დროისთვის იქ 1300 რუსი მესაზღვრეა დისლოცირებული.**

**დოროხინი აღნიშნულს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი „რთული ვითარებით" ხსნის.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით, აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ რუსეთი არ აპირებს, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულება და მიზანმიმართულად აძლიერებს თავის სამხედრო ყოფნას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რაც გამოიხატება როგორც სამხედრო კონტინგენტის გაზრდით, იქნება ეს თავდაცვის სამინისტროს თუ სასაზღვრო ძალების საფარქვეშ, ასევე დიდი რაოდენობის სამხედრო ტექნიკის, მათ შორის შეტევითი სარაკეტო შეიარაღების („სმერჩი" და „ტოჩკა-უ" სისტემები) განლაგებით.**

მედიანიუსი



ვითარება

# ინვესტიციების „დამშრალ წყაროსთან"

**ზუსტად ერთი თვის წინათ საქართველოში ისრაელის საელჩო დროებით დაიხურა, რის თაობაზე სათანადო კომენტარი მაშინ არც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, არც თავად დიპლომატიურ წარმომადგენლობას არ გაუკეთებია.**

ამის თაობაზე მაშინ გარკვეული მითქმა-მოთქმა იყო, მათ რიცხვში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა დაძაბვა სახელდებოდა, რის მიზეზადაც საქართველოში ორი ებრაელი ბიზნესმენის დაკავებასა და მათ გასამართლებას მიიჩნევდნენ. თუმცა მოგვიანებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამის თაობაზე კომენტარი მაინც გააკეთა: **„საელჩოს დახურვის მიზეზია ტექნიკური გაუმართაობა, რაც დროებითი ამბავია. ისრაელის დიპლომატიური წარმომადგენლობა მუშაობას... 21 თებერვლიდან განაახლებს",** — ირანის საინფორმაციო სააგენტოს FARS-ის ცნობით კი, საქართველოში ისრაელის საელჩოს დახურვის მიზეზად ტერორისტული აქტების განხორციელების საშიშროება დასახელდა.

და აი, ახლახან, საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობათა დაძაბვის თაობაზე ჭორებს მყარი საფუძველი გაუჩნდა. საქმე ის არის, რომ **ისრაელის ქნესეთის (პარლამენტის) თავმჯდომარემ რეუვენ რივლინმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს 13 მარტისთვის დაგეგმილი სამუშაო ვიზიტის გადადება სთხოვა.** საქართველოს საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, რომლებიც, თავის მხრივ, ისრაელის მასმედიის ინფორმაციებს ეყრდნობიან, ქნესეთის სპიკერმა ქართველ კოლეგას **სატელეფონო საუბრისას განუმარტა, რომ ამჟამად ისრაელში არასასურველად მიაჩნიათ საქართველოს ოფიციალურ პირებთან ნებისმიერი სახეობის კონტაქტები (!— რედ.). ამის მიზეზია საქართველოში ორი ებრაელი ბიზნესმენის — რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის დაკავება, რომელთა სასამართლო პროცესი მოქრთამვის ბრალდებით ამჟამად თბილისის საოლქო სასამართლოში მიმდინარეობს.**

ისრაელში მიაჩნიათ, რომ იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლებას რონი ფუქსისთვის კუთვნილი 98 მილიონის (პლუს სასამართლო და საადვოკატო ხარჯი. — **რედ**.) გადახდა არ სურდა, უკანასკნელს პროვოკაცია მოუწყო. ამასთან დაკავშირებით, ისრაელის პოლიტიკურ და საქმიან წრეებში მიაჩნიათ, რომ საჭიროა საქართველოსთან ყველა სახეობის საქმიანი და ოფიციალური კონტაქტის გაწყვეტა მანამდე, სანამ საქართველოს ხელისუფლება სამართლიანობას არ აღადგენს და ებრაელ ბიზნესმენებს არ გაათავისუფლებს.

**ცხადია, მოვლენათა ამ სცენარით განვითარება, უწინარესად, საქართველოსთვისაა საზიანო, რომელსაც ამით ინვესტიციების შემოდინების მძლავრი წყარო „დაუშრება" და ქვეყნის სანდოობის იმიჯზე მეტად უარყოფითად აისახება.**

დალი ხუნდაძე

ყოფა

# თბილისის წყალი ევროპის მასშტაბით ყველაზე ხარისხიანი ყოფილა

**კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" გენერალური დირექტორ იორგ მათისის განცხადებით, წყალი, რომელსაც თბილისის მოსახლეობა სასმელად იყენებს, მთლიანად აკმაყოფილებს ეროვნულ სტანდარტებსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს.**

— თბილისში სასმელი წყლის ხარისხის სტანდარტებთან დაკავშირებით ეჭვები სრული დეზინფორმაციაა და მიზნად ისახავს მოსახლეობაში კომპანიისა და მისი პროდუქტის ხარისხის მიმართ უნდობლობისა და ეჭვის გაჩენას, — განაცხადა იორგ მათისმა.

გიორგი ნათაძის სახელობის ჰიგიენისა და სანიტარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მარინა გიორგობიანის განმარტებით კი, თბილისის წყალი არის აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელი, რასაც ვერ ვიტყვით რეგიონებში არსებულ წყალზე. თუმცა ეს შესაძლებელია გამოსწორდეს და უკვე ამაზე მუშაობენ. თბილისის წყალი კი ევროპის მასშტაბით ყველაზე ხარისხიანია.

კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე იორგ მათისმა განაცხადა, კომპანია სისტემატურად ატარებს სასმელი წყლის ხარისხის როგორც ქიმიურ, ისე ბაქტერიოლოგიურ და პარაზიტოლოგიურ კვლევებს. ჩატარებული ანალიზების თანახმად, ყველა პარამეტრი ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე საგრძნობლად დაბალია, ხოლო მიკროორგანიზმები და პარაზიტები სასმელი წყლის სინჯში საერთოდ არ აღმოჩენილა.

მედიანიუსი



ჟურნალისტური გამოძიება



# ეკონომიურია თუ არა ცემენტ-ბეტონის საფარით საავტომობილო გზების გაყვანა?

*მეხუთე წელიწადია, რაც „მსოფლიო ბანკის“ კრედიტების გამოყენებით საქართველოში მიმდინარეობს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფო დანიშნულების საავტომობილო გზების მოდერნიზაცია...*

*ამ ფართო, მასშტაბურ ღონისძიებაში ყალბი და ყოველმხრივ კანონსაწინააღმდეგო მოთხოვნების გამოყენებით საავტომობილო გზების დეპარტამენტი „მსოფლიო ბანკთან“ ერთად უკრძალავენ დარგის სამამულო ორგანიზაციებს მონაწილეობის მიღებას საპროექტო, სამშენებლო და ტექსზედამხედველო ტენდერებში.*

*მათ სანაცვლოდ ხსენებულ მოდერნიზაციას ახორციელებენ საეჭვო, უცხოური, დაბალი კვალიფიკაციის კომპანიები, რაც ჩვენი ქვეყნის დარგის სამამულო ორგანიზაციებს არა მარტო უკარგავს მატერიალური და ტექნიკური განვითარების პერსპექტივას, არამედ უბიძგებს გაკოტრებისკენ, იწვევს დარგში მომუშავე სამამულო კადრების გადინებას და საბოლოოდ მიჰყავს საგზაო დარგი პარალიზებისკენ.*

ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებრივი ხასიათის მოქმედებებს ისიც ემატება, რომ „მსოფლიო ბანკის“ მიერ ხსენებული კრედიტების გამოყენება არამიზნობრივი ხასიათისაა, თუ განვიხილავთ ამ მოდერნიზებული გზების პროექტების შესაბამისობას დარგში არსებულ ნორმატიულ მოთხოვნებთან და შესრულებული სამუშაოების რეალურ ღირებულებასთან.

შედეგად, კერძოდ, საერთაშორისო საავტომობილო გზის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ მონაკვეთები „იგოეთი-სვენეთი“, „სვენეთი-რუისი“ არ შეესაბამებიან ჩქაროსნული ავტომაგისტრალისადმი წაყენებულ არა მარტო ნორმატიულ მოთხოვნებს, არამედ მოძრაობის თვალსაზრისით არიან ძალზედ სახიფათონი. აღნიშნულის გამოსწორების მიზნით ჩვენს ქვეყანას სამომავლოდ დასჭირდება უფრო მეტი მატერიალური სახსრები, ვიდრე იმავე გზებზე დღემდე არის დახარჯული.

აღნიშნულის შესახებ ჩვენმა სააგენტომ არაერთხელ წერილობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, მთავარ (გენერალურ) პროკურატურას და შემოსავლების სამსახურს. მათი მხრიდან ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება კი ნულის ტოლია.

ჩვენი მორიგი ჟურნალისტური გამოძიებით სრულ და ამომწურავ პასუხს გავცემთ კიდევ ერთ ძალზე მნიშვნელოვან კითხვას – **რამდენად გამართლებულია, რომ ეგრეთ წოდებული მოდერნიზაცია ხდება ასფალტ-ბეტონის გზების ნაცვლად ცემენტ-ბეტონის საფარიანი გზებით?**

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მივმართეთ საქართველოში საავტომობილო გზების დარგის ცნობილ და ოფიციალურად აღიარებულ სპეციალისტებს, მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებს ალექსი ბურდულაძეს და კონსტანტინე მჭედლიშვილს.

**ა.ბურდულაძე:**

– მსოფლიოში საავტომობილო გზების დარგის სპეციალისტებისთვის საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცემენტ-ბეტონის ფენილი, ანუ საგზაო სამოსის ზედა ფენა არის მტკიცე ცვეთამდეგი, არ რბილდება მაღალი ტემპერატურისგან, არ ექვემდებარება ძვრის დეფორმაციას. მაღალი კლასის საავტომობილო გზებზე გასული საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ საკმაოდ ხშირად იყენებდნენ ცემენტ-ბეტონის საფარს. მაგრამ ცემენტ-ბეტონის საგზაო საფარის გამოყენების მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მას აქვს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რის გამოც მსოფლიოს თანამედროვე საგზაო მშენებლობაში იგი იშვიათად გამოიყენება.

ცემენტ-ბეტონის საფარის გაბზარვა შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე მიწის არათანაბარი ჯდომის შედეგად, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა მიწის ვაკისის ჭრილიდან ყრილში გადასვლისას ან ფერდობზე მიწის ვაკისის ნახევარჭრილი-ნახევარყრილის სახით მოწყობისას. მიწის ვაკისის სახეობათა ასეთი ცვალებადობა ჩვეულებრივი მოვლენაა დასერილი ან უფრო რთული რელიეფის პირობებში.

**კ.მჭედლიშვილი:**

– მიწის ვაკისის არათანაბარი ჯდომა გრძელდება ათეული წლების განმავლობაში, თუ ყრილების სიმაღლე 10-12 და მეტი მეტრია. მიწის ვაკისის ჯდომა შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე მის ტანში გაზაფხულსა და შემოდგომაზე ზედაპირული და გრუნტის წყლების ჭარბი შეღწევითაც. ასე რომ დასერილი და უფრო რთული რელიეფის პირობებში, აგრეთვე სადაც მიწის ვაკისის გრუნტის მოცულობის უდიდესი ნაწილი თიხისაგან შედგება და შედარებით მცირეა ქვიშა და ღორღი, აგრეთვე მოსალოდნელია გაზაფხულისა და შემოდგომის ჭარბი ნალექები, ცემენტ-ბეტონის საგზაო საფარისათვის საჭირო მიწის ვაკისის სიმტკიცის შენარჩუნება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

**ა.ბურდულაძე:**

– ამ მოვლენის ნაწილობრივი განეიტრალება შეიძლება, თუ ცემენტ-ბეტონის ფენის ქვედა ნაწილში მოეწყობა მძლავრი არმირებული კარკასი. ეს კი მნიშვნელოვნად ძვირია და შრომატევადი. გარდა ამისა, ცემენტ-ბეტონი სიხისტის გამო მოითხოვს გრძივ და განივ ტემპერატურულ ნაკერებს, რათა თავიდან ავიცილოთ ტემპერატურის ცვალებადობისაგან გამოწვეული დეფორმაციები.

**კ.მჭედლიშვილი:**

– ყოველივე ზემო ჩამოთვლილს ემატება აგრეთვე ის, რომ ახლად დაგებულ ცემენტ-ბეტონის მასას სჭირდება თითქმის ერთი თვე, რათა ბეტონმა მიიღოს საკმარისი სიმტკიცე ზედ ავტომობილების გასაშვებად. ამ პერიოდში, თუ ტემპერატურა მაღალია, აუცილებელია ბეტონის განმტკიცებისთვის საჭირო ოპტიმალური ტემპერატურის შენარჩუნება მორწყვით, ნახერხის სველი ფენის დაყრით ანდა რითიმეთი დაფარვით.

იხ. 4 გვ.

...სად ალუფხვრი სადით ძირსა?!

# ქართველები ავღანეთში,

## ანუ მირ-ვეისიდან – ბენ-ლადენამდე

**ამას წინათ კიდევ ერთი, რიგით მეექვსე ქართული კუბო ჩამოასვენეს შორეული ავღანეთიდან. კიდევ ერთი ქართველი დედა ატირდა, კიდევ ერთმა ქართულმა ოჯახმა ჩაიცვა ძაძები. კიდევ ერთხელ მოვისმინეთ ჩვენი პრეზიდენტის და მისი უტიფარი უმრავლესობისგან ცრუ პათეტიკა, რომ ის ბიჭი ავღანეთში საქართველოს იცავდა. სხვათა შორის, ამ საქმეში მათ, არც ზოგიერთი, განსაკუთრებით ე.წ. „რჩეული ოპოზიცია“ ჩამორჩა...**

არადა ამ თემას, „ქართველები ავღანეთში“, არცთუ მცირე ისტორია აქვს, რაზეც ქვემოთ შევეცდები ვისაუბრო, პარალელები გავავლო და მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ როდის წაადგა ავღანეთის ცხელ ქვიშებში ქართველების მიერ ავღანელების დაღვრილი სისხლი (ან პირიქით) საქართველოს.

პირველად დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის სარდლობით და შაჰ- აბასის დროშის ქვეშ მოიქნიეს ქართველებმა „უქარქაშო ხმლები“ ავღანეთის მიწაზე „საქართველოსთვის“. შემდეგ იმავე, მე-17 საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით მე-18 დასაწყისში გამოიდეს თავი ქართველებმა, როდესაც 1703 წელს, ირანის შაჰმა გიორგი 11-ეს ქართლის მეფობა უბოძა. თუმცა ბედის ირონიით, ერთი წამითაც არ ეღირსა ტახტზე ჯდომა, რადგანაც ქართლის მეფობასთან ერთად, ქირმანის, ყანდაჰარისა და გირშიკის ბეგლარბეგობაც „უწყალობა“ შაჰ-ჰუსეინმა – ანუ, გამგებლობა და დამშვიდება დაავალა მუდმივად მოჯანყე ავღანური პროვინციებისა.

ჰოდა „ქართლის მეფემაც“ განაგო და



ცეცხლითა და მახვილით „დაამშვიდა“ „საკუთარი საბეგლარბეგო“. იქამდეც კი, რომ ავღანთა წარკვეთილი თავებისაგან კოშკებიც „ააშენა“. რადგანაც სხვა ენაზე საუბარი არ ესმოდათ თავისუფლებისმოყვარე, მაგრამ ნახევრად ველურ (დღეს რანი არიან და მაშინ რა იქნებოდნენ) ავღანურ ტომებს, რომელთაგან ერთ-ერთის ბელადი იყო მამაცი მირ-ვეისი, რომელიც ჯერ სასტიკად დაამარცხა გიორგი მეთერთმეტემ და შემდეგ ბორკილგაყრილი გაუგზავნა ისპაჰანში შაჰს. იქიდან თავი დაიძვრინა მირ-ვეისმა და უფრო მეტიც, შაჰის ბრძანებით ყანდაჰარშივე გაუგზავნეს მეფე გიორგის მირ-ვეისი. ამჯერად, როგორც თანამებრძოლი, გინდა მოადგილე.

ეს ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ვერაგმა ავღანელმა ღალატით მოკლა მეფეც და მისი თანამებრძოლი ასობით ქართველიც ამოჟუჟეს ავღანელებმა. ხოლო როდესაც „მაჰმადიან“ მეფეს საკინძე ჩამოგლიჯა მირ-ვეისმა, გასისხლიანებულ მკერდზე ჯვარცმა აღმოუჩინა, რაც საკუთარი დანაშაულის გასასამართლებელ საბუთად გაუგზავნა ირანის შაჰს ისპაჰანში. ასე აღესრულა საქართველოს ისტორიაში უკანასკნელი დიდი გიორგი (ლევან სანიკიძის მიხედვით - გიორგი მთაწმინდელის, გიორგი ჭყონდიდელის, გიორგი მესამის, გიორგი მეოთხე ლაშას, გიორგი ბრწყინვალისა და გიორგი სააკაძის შემდგომ) და ათასობით ქართველი, რომლებსაც საფლავებიც კი არ დარჩენიათ უცხო მიწაზე.

ეს ამბავი 1709 წლის 21 აპრილს, დიდ ხუთშაბათს მოხდა. და მერე რა ამ გმირობით საქართველოს? რა და ისევ ლევან სანიკიძეს დავესესხები: „განა ვინმეს გაეგებოდა (ან გაეგება?!) რომ მისი უებარი სიქველე და თავგანწირვა უმადურ „უცხო თესლთათვის“ უცხო მხარეში, მაინც დიდ მადლად გამოადგა მის ღვიძლ სამშობლო საქართველოს?! სწორედ მან წარმართა საქართველოს მოსისხლე სპარსეთის ხარბი თვალყური აღმოსავლეთ ირანისა და ავღანისტანისკენ. ხოლო მასვე ჟამს გიორგის ძმისწულმა, დიდმა მამულიშვილმა ვახტანგ მეექვსემ დრო იხელთა და ირანის ზურგს უკან მშობლიური ქართლი მკვდრეთით აღადგინა, აალორძინა და ააყვავა.“

მოგვიანებით ყმაწვილი პატარა კახიც იქნევდა დავითფერულ მახვილს ნადირ-შაჰის, ირანის უკანასკნელი დიდი ხელმწიფის გვერდით. მისდამი „ერთგულება“ კი საქართველოს იმაში წაადგა, რომ ერეკლე მეორე გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს ქრისტიან(!!!) მონარქად მოევლინა. საბოლოოდ კი, პატარა კახი უკანასკნელი დიდი ხელმწიფე აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში!

შემდეგ დიდი, ლამის სამსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ, ქართველები ისევ გამოვჩნდით ავღანეთში. ამჯერად სსრკ-ის „ოგრონიჩენნი ვოიენნი“ კონტინგენტის რიგებში 10 წლის მანძილზე ვიხდიდით ე.წ. ინტერნაციონალურ ვალს. სადაც მირ-ვეისის შთამომავალმა მოჯახედებმა უსამა ბენ-ლადენის ბელადობით და ამერიკელების ხელშეწყობით, კუდით ქვა ასროლინეს წითელ არმიას. ასობით ქართველი დაიღუპა და ათასობით დაინვალიდდა დიახაც ამერიკელების ხელშეწყობის გამო.

იმ ამერიკელების, რომელთა შექმნილია ბენ-ლადენის ფიგურა. იმ ამერიკელების, რომლებმაც ჩაანაცვლეს ავღანეთში საბჭოეთი და ახლა ისე არიან იქ „გაკვეტებულები“, რომ აღარ იციან, რა ქნან. და **ახლა, როდესაც ნატოს წამყვანი ქვეყნებიდან, ვინც ამერიკელებთან ერთად მონაწილეობენ ე.წ. ანტიტერორისტულ ოპერაციაში, ზოგმა უკვე დატოვა ავღანეთის სასაკლაო და ზოგმაც კონკრეტული თარიღები დაასახელა, თუ როდის დატოვებენ ავღანეთს, იქნება ვინმემ ამიხსნას, რა ესაქმება საქართველოს იქ?**

თანაც ამერიკის, ინგლისისა და გერმანიის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარით. და თუ პროცენტულად ვიანგარიშებთ ჩვენი მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით, საერთოდაც პირველები ვართ. და თანაც, სად? ავღანეთის ყველაზე საშიშ, ცხელ რაიონებში. ზუსტად ისევე, როგორც თავის დროზე გიორგი მეთერთმეტე.

თუმცა ზემოთ ხომ აღვნიშნეთ, რა სარგებელი ნახა მაშინ საქართველომ მისი შვილების დანთხეული სისხლისგან შორეულ ავღანეთში? ჰოდა იქნებ ვინმემ ამიხსნას, რა დივიდენდები მოუტანა ჯერჯერობით 6 ქართველის დაღუპვამ საქართველოს? დიახ, ჯერჯერობით, რადგანაც სამწუხაროდ ეს ციფრი აუცილებლად გაიზრდება! და რას ვღებულობთ სანაცვლოდ იმ არაფრისმომტანი რიტორიკული განცხადებების გარდა, როგორიც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის სიტყვიერი მხარდაჭერა, ან გნებავთ საქართველოს ოკუპაციის დაფიქსირებაა ზოგიერთ დოკუმენტში?

ერთადერთი ჩვენი ხელისუფლება ხეიროზს და მომავალშიც იხეირებს დაღვრილი სისხლით. რაც იმაში გამოიხატება, რომ ჯერჯერობით დასავლეთი და კონკრეტულად აშშ თვალებს ხუჭავენ ნაცების ანტიხალხურ მმართველობაზე და თუ სააკაშვილმა დაპირება შეუსრულა დასავლეთს და ჩვენი სამხედროების რაოდენობა გაიზრდება ავღანეთში, საერთოდაც დაიბრმავებენ თვალებს.

დავით მხეიძე.

P.S. ანტიტერორისტული ოპერაცია. ამის მოფიქრება არ გინდა, რომ გაგანია ომს ასეთი უწყინარი, ჰუმანური სახელი უწოდო? რით არის უკეთესი ეს კომუნისტების მოგონილ ე.წ. ინტერნაციონალურ ვალის მოხდაზე?

ჟურნალისტური გამოძიება

# ეკონომიურია თუ არა ცემენტ-ბეტონის საფარით საავტომობილო გზების გაყვანა?

(მესამე გვერდიდან) თუ ცივა, საჭიროა მისი შეთბობა იმავე ტემპერატურისთვის მისაღწევად თბოიზოლირებელი მასალებით.

**ა.ბურდულაძე:**

– ცემენტ-ბეტონის ფენილის სისქე ჩვეულებრივ ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ასფალტ-ბეტონისა. აქედან გამომდინარე, იგი მოითხოვს ორჯერ უფრო მეტ და უფრო მაღალხარისხოვან ინერტულ მასალას, ქვიშასა და ღორღს.

**კ.მჭედლიშვილი:**

– ეს მკითხველისთვის, ერთი შეხედვით, შეუფერებლად დიდი თეორიული ნაწილი იმისთვის დაგვჭირდა, რომ მოსახლეობის ფართო ფენებმა იცოდნენ და ქვეყნის ხელმძღვანელებმა შეიგნონ, რამდენად მიუღებელია საქართველოსთვის დამახასიათებელ პირობებში, ანუ დასერილ, უფრო რთულ რელიეფში შემოდგომისა და გაზაფხულის, ზოგჯერ კი ზაფხულის ჭარბტენიანობის შემთხვევაში ცემენტ-ბეტონის გამოყენება. ასფალტ-ბეტონთან შედარებით ცემენტ-ბეტონის გამოყენება საგზაო საფარებში მეტად რთულია, ძვირი და, აქედან გამომდინარე, მიუღებელია.

**ა.ბურდულაძე:**

– ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები კარგად ცნობილია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგზაო დარგის სპეციალისტებისთვის. სწორედ ამიტომ მათ ქვეყნებში ცემენტ-ბეტონს იყენებენ ძალზე იშვიათად და ისიც მხოლოდ მძიმეწონიანი თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი ზოლების მოსაწყობად...

ცემენტ-ბეტონის ერთი კუბური მეტრის მოსამზადებლად საჭიროა არანაკლებ სამასი კილოგრამი მაღალი მარკის ცემენტი, რომლის საბაზრო ღირებულება ამჟამად სულ მცირე 60 აშშ დოლარია. ასფალტ-ბეტონის ერთი კუბური მეტრის მოსამზადებლად საჭიროა 200 კილოგრამამდე საგზაო ბიტუმი. ამჟამად მისი ხელოვნურად გაზრდილი ღირებულება, რაც საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2009 წ. ხელმძღვანელობის „დამსახურებაა" (იმ დროს ამ დეპარტამენტის თავმჯდომარე იყო რამაზ ნიკოლაიშვილი) შეადგენს 900 აშშ დოლარზე მეტს ერთ ტონაზე. აქედან გამომდინარე, ერთი კუბური მეტრი ცემენტ-ბეტონის მომზადებას სჭირდება 60 აშშ დოლარის ცემენტი. ხოლო ერთი კუბური მეტრი ასფალტ-ბეტონის მომზადებას დასჭირდება 180 აშშ დოლარის ბიტუმი.

**კ.მჭედლიშვილი:**

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ხანებში ბიტუმის ფასი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ორჯერ გაიზარდა და მისი შემოტანა მონოპოლიზებულია, აგრეთვე ფართობის ერთეულზე ცემენტ-ბეტონს ორჯერ მეტი და მაღალხარისხოვანი ინერტული მასალა სჭირდება, მაშინ დანახარჯები ცემენტ-ბეტონისა და ასფალტ-ბეტონის ერთი კვადრატული მეტრის საფარის დამზადებაზე თითქმის თანაბარია.

**ა.ბურდულაძე:**

– ქვეყნის ხელისუფლების პირველ პირთა განცხადებით, ცემენტს ჩვენ თვითონ ვამზადებთ და მისი გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე შემოტანილი ბიტუმისა. მაგრამ სპეციალისტებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის შექმნის ეკონომიკური ეფექტურობა გაცილებით მეტად არის დამოკიდებული ნაგებობის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლებზე, ვიდრე მშენებლობისათვის გაწეულ დანახარჯებზე. ეკონომიკურ ეფექტურობაში კი ძირითადი და გადამწყვეტია ერთი ტონაკილომეტრის ან მგზავრკილომეტრის გადაადგილების ღირებულება.

### სააგენტოს რეზიუმე

**ისმის სავსებით სამართლიანი კითხვა – როდემდე უნდა იყოს საქართველოში უგულებელყოფილი ადგილობრივი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების პოზიცია და მოსაზრებანი?**

**სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ასეთი უგულებელყოფის მრავალი მაგალითი დაგროვდა, რომელთა შორისაა ყბადაღებული „გმირთა მოედანი" არაპროფესიონალიზმით გადაწყვეტილი სარეკონსტრუქციო სქემით...**

**გარდა ზემოთქმული ეკონომიკური და ტექნიკური მოსაზრებებისა, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. როდესაც უცხო ქვეყნიდან ჩამოსული სტუმარი დაინახავს უშნოდ მიბრეცილ-მობრეცილ საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალის „თბილისი-სენაკი-ლესელიძეს", „იგოეთი-სვენეთის" და „სვენეთი-რუისის" მონაკვეთს, გაივლის „გმირთა მოედნის" ლაბირინთებში, ბარათაშვილის ნგრევის პირას მისული ხიდიდან დაინახავს უადგილო ადგილას აღმართული მინის სახურავიანი ხიდით დაფარულ უძველეს და მშვენიერ არქიტექტურულ ძეგლებს, იფიქრებს, რომ, უპირველეს ყოვლისა, დღევანდელი ქართველი ტექნიკური ინტელიგენცია არის ბრიყვი და არაკვალიფიციური, ხოლო შემდეგ, ცხადია, კეთილი სიტყვით არ მოიხსენიებს არც ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას, რომელმაც ნება დართო, განხორციელებულიყო ასეთი სიმახინჯე.**

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე"

ვარაუდი

# რუსეთთან საბაჟო პრობლემების მოგვარებას მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაში უნდა შევეცადოთ

(მეორე გვერდიდან) **– უდავოა, რომ საბაჟო საზღვრების დადგენა ჩვენთვის უმთავრესი საკითხია, მაგრამ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაში ყოფილა პრეცედენტები, როცა იმ ვითარებაში, რომელშიც რუსეთთან მიმართებაში ვიმყოფებით, საბაჟო საზღვრების დადგენა სამართლიანად გადაწყვეტილა?**

– საქმე ის არის, რომ ჩვენი მდგომარეობა მართლაც არასტანდარტულია. არის კონფლიქტური რეგიონები, რომელთა პრობლემების გადაჭრას საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ. ამას წინათ, საქართველოშიც გამოითქვა მოსაზრება, რომ ჩვენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე უნდა ჩავაყენოთ ევროკავშირის დამკვირვებლები, როგორც ეს დნესტრისპირეთის შემთხვევაშია. ეს მიდგომა მცდარია, ვინაიდან დნესტრისპირეთი რუსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ უღიარებია, ეს კონფლიქტური ზონაა და იქ ევროკავშირის დამკვირვებლების მონაწილეობა, შესაძლოა, გამართლებულიც იყოს. ამიტომ, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ფარგლებში რაიმე გამოცდილების ძებნა ნაკლებადპროდუქტიულია, ვინაიდან ჩვენ მართლაც არასტანდარტულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. რუსეთმა კი აღიარა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ რეალურად თუ შევხედავთ, ამ ტერიტორიების ანექსიას ახდენს. ამიტომ, რაიმე საერთაშორისო გამოცდილებაზე აპელირება გამორიცხულია.

**– მიიჩნევა, რომ ქართულ-რუსულ კონსულტაციებზე მხოლოდ ქართული საქონლის რუსულ ბაზარზე დაშვება ვერაფერი მიღწევა იქნება, ვინაიდან მსო-ში გაწევრების შემდეგ რუსეთს ისედაც დაეკისრება თავის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაშვება...**

– ამგვარი აზრი არასწორია, ვინაიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არ გამორიცხავს მის წევრ ქვეყნებს შორის იმას, რომ ქვეყნებმა ერთმანეთის ბაზარზე პროდუქციის შეტანა შეზღუდონ, თუკი ეს პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. მსო ასეთ შეზღუდვებს არ კრძალავს.

გენადი ონიშჩენკომ, რომელიც რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმია და აკრძალა საქართველოში წარმოებული პროდუქტების რუსეთში შეტანა, ამას წინათ განაცხადა, რომ მსო-ში რუსეთის გაწევრების შემთხვევაშიც რუსეთი ქართულ პროდუქციასთან დაკავშირებით იმავე პოზიციას შეინარჩუნებს, როგორიც დღეს აქვს, თუ ქართული პროდუქცია საერთაშორისო პროდუქციის შესაბამისი არ იქნება. ფორმალურად, რუსეთს საქართველოსთვის სავაჭრო ემბარგო დაწესებული არა აქვს. გადაწყვეტილება ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეზღუდვის შესახებ რუსეთის მთავარმა სანიტარმა თითქოს ქვეყნის სანიტარიული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მიიღო და არა – რუსეთის რომელიმე პოლიტიკურმა ორგანომ.

**– რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ბერნის კონსულტაციებზე ოფიციალური თბილისი მოსკოვისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მრავალმხრივი მემორანდუმის გაფორმებას მოითხოვს. რას შეიძლება ითვალისწინებდეს ხსენებული მრავალმხრივი მემორანდუმის გაფორმება?**

– მრავალმხრივი მემორანდუმი ნიშნავს სხვადასხვა ქვეყნისა და ორგანიზაციის პროცესში ჩართვას. აქ წამყვანი როლი ეკუთვნით ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს, მაგრამ იმავდროულად ამ პრობლემების გადაწყვეტაში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა აუცილებელია. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მოსაზრება იგივე რჩება – უნდა გავააქტიუროთ ძალისხმევა მსოფლიოს საბაჟო ორგანიზაციაში და ეს ინსტიტუტი მაქსიმალურად გამოვიყენოდ.

**– თუ მხარეებმა ქართული მხარის პრინციპული პოზიციის გამო შეთანხმების მიღწევა ვერ შეძლეს, ოფიციალური თბილისის გვერდის ავლით შეძლებს თუ არა რუსეთი მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას და თუ კი, როგორი უნდა იყოს ქართული მხარის რეაქცია?**

– თეორიულად, რუსეთის მსო-ში გაწევრება ქართული მხარის თანხმობის გარეშეც შესაძლებელია. საქმე ის გახლავთ, რომ მსო-ს საწესდებო დოკუმენტებში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული ვეტოს პრინციპი. ასე რომ, თუ ჩვენთან შეთანხმების მიღწევა ვერ შედგა, მაშინ შესაძლოა, პროცესები ასეთი სცენარით განვითარდეს – მსო-ში რუსეთის გაწევრების საკითხზე სხდომა მაინც გაიმართება, რომელზეც საქართველოს თანხმობის გარეშე მიიღებენ გადაწყვეტილებას რუსეთის მიღების შესახებ. სავარაუდოდ, ამ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ქართული დელეგაცია არ გაემგზავრება, თუმცა თავის პოზიციას უცვლელად დატოვებს, რის შემდეგაც რუსეთი მსო-ში ჩვენს გარეშეც გაწევრდება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საკითხზე ჩვენი პოზიცია საერთაშორისო დონეზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული იმის გამო არ იქნება, რომ ქართულ მხარეს თავის პარტნიორებთან, აშშ-სთან და ევროკავშირთან ურთიერთობების გართულება არ სურს. კარგად ვიცით, რომ რუსეთი ჩვენი მტერია, მაგრამ ახლა ჩვენი მეგობრების – აშშ-ის და ევროკავშირის განაწყენება ჩვენს ინტერესებში ნამდვილად არ შედის. ამიტომ, მე მაინც მივიჩნევ, რომ საქართველომ არ უნდა დათმოს თავისი პოზიცია, მაქსიმალურად დაიცვას თავისი ინტერესები, ვინაიდან პასუხისმგებელია არა მარტო დღევანდელობაზე, არამედ მომავალი თაობების წინაშე. ხოლო, თუ მსოფლიოს უნდა, რომ მსო-ში რუსეთი ჰყავდეს, ამის გაკეთებას ჩვენს გარეშეც შეძლებს.

**კობა ბენდელიანი**

ინიციატივა

## დევნილთა ძალადობრივი გამოსახლების წინააღმდეგ

**საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს განცხადება თებერვალში ჟენევაში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის – ანტონიო გუტერესისადმი გაგზავნილი კრიტიკული ღია წერილის პასუხად. განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს 21 არასამთავრობო ორგანიზაცია, ნათქვამია:**

„ჟენევამ ქართულ არასამთავრობოებთან დიალოგი დაიწყო დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელების მიზნით;

9 მარტს, დიალოგის პირველ შეხვედრაზე **გლუკის** ოფისში შევთანხმდით, რომ უახლოეს 2 კვირაში, გაეროს მივაწვდით დასაბუთებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს სახელმწიფო სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის განხორციელების გზების შესახებ;

ჩვენ, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები ვაცხადებთ მზაობას, ვითანამშრომლოთ **გლუკთან,** რათა გაუმჯობესდეს დევნილთა მძიმე მდგომარეობა, ხოლო სახელმწიფომ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეასრულონ აღებული ვალდებულებები დევნილებთან მიმართებაში."

განცხადებას ხელს აწერენ: **ნინო ციხისთავი, კავკასიის ქალთა ქსელი; ლია მუხაშავრია, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი; არნოლდ სტეპანიანი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო;" უჩა ნანუაშვილი, ადამიანის უფლებათა ცენტრი; ირინა ფუტკარაძე, კოალიცია სამოქალაქო განვითარებისათვის; გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი და სხვები.**



ჩვენი პუბლიკაციის კვალდაკვალ

# დაეხსნებიან „უპატრონო ეკლესიას“ იქაურობას დაპატრონებული „ეშმაკები“?

## „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას უპასუხებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

**ჩვენი გაზეთის წლევანდელი 12 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი სათაურით — „ნუ დავუკარგავთ „ამაგს“ იმ ავაგს“. ამაგარდასაკარგავ ავაგში ავაგ არუთუნიანს ვგულისხმობდი — სომხეთის მეღვინეთა კავშირის თავმჯდომარეს — თავისი, უკაცრავად პასუხია და, თავხედურ-გამომწვევი განცხადებით კიდევ ერთხელ რომ შეგვანჯღრია და გამოგვაფხიზლა: თუ ქართული მხარე მომავალშიც გააგრძელებს თავისი აბსურდული თეორიების წამოყენებას, ჩვენ ძალიან იოლად, სასამართლო გარჩევის გზით შევძლებთ ჩვენი სიმართლის დამტკიცებასო.**




ალნიშნულ პუბლიკაციაში ვწერდი: **„მაინც რამ დააკარგვინა წონასწორობა დინჯ და, თავის თანამემამულეთა მსგავსად, სხვის (ამჯერად ქართველის) საკუთრებაზე არამცთუ ხელი, ფიქრიც კი რომ არასდროს წასცდენია ისეთ მართალ ავაგ არუთუნიანს?**

**რამ და, გაზეთ „კვირის პალიტრის“ წლევანდელი პირველი ნომრის პუბლიკაციამ „Sაფერავი Oღონდ Sომხურად?!“**

ამ პუბლიკაციის მიხედვით, თურმე, ნუ იტყვით და, ამდგარან ეს ჩვენი ძმა სომხები და, საფრანგეთსა თუ აშშ-ში „საფერავი“, „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“, „ბორჯომი“ სომხურ სასმელებად გაუსაღებიათ.

ეს კი იმიტომაც ხდება-მეთქი, ვამბობდი იმ წერილში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობ მაღალხელფასიანი, მაგრამ დაბალეფექტიანად მომუშავე ხელმძღვანელობის მისამართით, რომ ქართულ ვაზს და მისგან **„დამზადებულ ღვინოსაც, სხვათა შორის, მოვლა-პატრონობა, ქართულ დასახელებებსა და სავაჭრო ნიშნებს კი ჯეროვნად დაცვა სჭირდება, რათა ისინი ყველა მსურველმა არ გამოიყენოს“.**

ეს პუბლიკაცია, სათანადო წერილთან ერთად, 18 იანვარს რეაგირებისთვის ჩავაბარეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომლისგანაც პასუხი ჯერაც არ მიგვილია (არადა, უკვე ლამის ორი თვეა გასული კანონით გათვალისწინებული ორი კვირის ნაცვლად!ძ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ კი გვაახლა ბარათი, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია (სტილი დაცულიაძ:

**„სამწუხაროდ მითითებულ სტატიაში დასმული პრობლემა შეეხება არა მარტო სომხეთის რესპუბლიკას, არამედ, ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ხშირია ექსპორტზე ორიენტირებული ქართული ტრადიციული პროდუქციის დიდი ნაწილის გაყალბების ფაქტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ბაზარზე.**

**ალნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს მუშაობა ქართული წარმოშობის საქონლის დაცვის უზრუნველსაყოფად ორმხრივი და მრავალმხრივი სამართლებრივი ბაზის სრულყოფასთან დაკავშირებით.კერძოდ:**

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და „საქპატენტის“ მიერ მიმდინარეობს მუშაობა მსოფლიოს 10 ქვეყანასთან გეოგრაფიული აღნიშვნების აღიარების ურთიერთდაცვის შესახებ ორმხრივი შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით.**

**მიმდინარე ეტაპზე პარაფირებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვის შესახებ“ შეთანხმება, რომლის ძალაში შესვლისთანავე, 18 დასახელების ღვინის, 3 დასახელების ღვინის ბრენდისა და 16 დასახელების მინერალური წყლების გეოგრაფიულ აღნიშვნებს ავტომატურად მიენიჭებათ დაცვა ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო ტერიტორიებზე.**

**ამასთან, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მიმდინარეობს მოლაპარაკებები და დაგეგმილია 2011 წლამდე დასრულდეს წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების პროცედურები ღვინისა და სპირტიანი სასმელების ერთიანი გლობალური რეესტრის შექმნასთან დაკავშირებით. საქართველო აქტიურად არის ჩართული აღნიშნულ პროცესში.**

**მითითებული რეესტრის შექმნის შემდგომ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ქართული ადგილწარმოშობის დასახელების მქონე პროდუქცია აღიარებული იქნება ვმო-ს წევრ 153 ქვეყანაში (მათ შორის სომხეთის რესპუბლიკაში).**

**ამასთანავე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა ქართული წარმოშობის სხვა დასახელების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით. შესაბამისად თითოეულ პროდუქციაზე უნდა შეიქმნას საერთაშორისო ნორმების შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც მოხდება საქონლის იდენტიფიცირება, სადაც საქონლის ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები მნიშვნელოვნად დაკავშირებული იქნება მის გეოგრაფიულ წარმოშობასთან. ამ პროცესებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებაზე უფლების მაძიებელი პირების აქტიურ ჩართულობას.**

**ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელება, საშუალებას გვაძლევს ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებს ჰქონდეთ არამხოლოდ ავტომატური დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, არამედ აღნიშნულის დარღვევის შემთხვევაში აღიძრას სასამართლო პროცესი ნებისმიერ ქვეყანაში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებაზე უფლების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირის ან/და სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების მიერ“.**

ქალბატონი მინისტრის ხელმოწერილი ეს წერილი ახალმიღებული გვქონდა, როდესაც ტელევიზიით კიდევ ერთი „გულგასახარი“ სიახლე შევიტყვეთ: **თურმე ვინმე გენადი დოზორცევს, კომპანია „დოზერცევი და შვილების“ ხელმძღვანელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაურეგისტრირებია „ხვანჭკარა“ და უკვე ხუთი წელია ყიდის კიდეც მას.**

და ეს მაშინ, როდესაც ასე გვიჭირს ქართული ღვინის გასაღება და ბიუჯეტი დიდძალ ფინანსებს ხარჯავს თუნდაც სხვადასხვა ქვეყანაში, ცხადია, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, დიდმოხელე ჩინოვნიკების, მათ შორის სოფლის მეურნეობის მინისტრის მივლინებისთვისაც, რათა იმავე ამერიკის ბაზარზე როგორმე ჩვენი ღვინისთვისაც გამოიძებნოს ადგილი.

**ამასობაში კი არუთუნიანები, დოზორცევები და ძმანი მათნი თავიანთ საქმეს აკეთებენ: ნაღდ ქართულ ღვინოს საზღვარგარეთ სახელსაც უტეხენ და ამით თავიანთ ჯიბესაც ისქელებენ.**

**მოკლედ გრიალებენ „უპატრონო ეკლესიას“ დაპატრონებული „ეშმაკები“ და, სანამ ასე უნიათოდ ვიფაფხურებთ, არა მგონია, ისინი იქაურობას დაეხსნენ.**

**რუსლან რუსია**

მცირე ბიზნესი

# ვინ ასწავლის ბუღალტრებს საბუთების შევსებას?

**ცოტა ხნის წინათ მეზობელს გამოველაპარაკე, რომელიც მანამდე უბანში უსაქმოდ დამდგარი წლების მანძილზე არ მინახავს, რადგან ოჯახის სარჩოს დღედაღამ ელიავას ბაზრობაზე წვრილმანი ვაჭრობით შოულობდა. მითხრა, წამოვედი იქიდან, გაჩერებას აზრი აღარა აქვს, დღე ერთია და შემმოწმებელი — ათასი, თანაც საბითუმო ფასებმაც მოიმატა, რამაც ჩვენც საქონლის ფასის გაზრდა გვაიძულა — აბა, ისე ვაჭრობას, ორი კაპიკი თუ არ მოიგე კაცმა, რა აზრი აქვს, თანაც მყიდველიც იმდენი აღარ არის, ხალხს ფული უჭირსო, — ასეთი იყო მისეული თანამედროვეობის მოკლე „ეკონომიკურ-სოციალური“ მიმოხილვა.**

დიდად გაპიარებული ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტიც ბიზნესზე ადმინისტრაციული ზეწოლის შესუსტებას გულისხმობდა, მცირე და მიკრო მეწარმეებზე „ნადირობას“ ბოლო არ უჩანს. ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებლო სამსახურის თანამშრომელთა ამ „გაავებას“ ოფიციალურად ელემენტარულ „კონტროლის გაძლიერებას“, აღრიცხვიანობის მოწესრიგებას უწოდებენ. სიმართლე მოითხოვს ისიც ითქვას, რომ თავის წილად არც მოვაჭრეები არიან „მამა აბრამის ბატკნები“, მათ შორის ბევრნი ყველანაირად ცდილობენ გადასახადების გადახდისგან თავის არიდებას, თორემ სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ მათივე ამქრის არაერთი წარმომადგენლის განცხადება, რომ **სადღეისოდაც დასაწყობებული აქვთ დიდი ოდენობით წინა წლებში შემოტანილი და აღურიცხავი საქონელი?**

განა წინა წლებში არ იყო სავალდებულო, რომ საქონლის დოკუმენტაცია მოწესრიგებული გქონოდათ-მეთქი, ბევრს რომ ვკითხე, ეს პასუხი მივიღე: — ადრე ზედნადების ქონა სავალდებულო არ იყო, ამიტომაც წინა წლებში ჩამოტანილ საქონელზე დოკუმენტების მოთხოვნა უსამართლობაა, ამდენად ასეთ პირობებში ვერაფრით ვერ ვიმუშავებთო, — ასეთია მათ შორის ვნებათაღელვის მიზეზის ახსნა.

ამდენად ადრე უზედნადებოდ შემოტანილ ნაწარმზე ზედნადების წარდგენის თაობაზე მოთხოვნის შეუსრულებლობა ბაზრობებზე საცალო მოვაჭრეებს აიძულებს, სავაჭროდ გამოტანილი პროდუქციიდან ამოიღონ ეს საქონელი, რაც მთელ რიგ შემთხვევაში მათ მეტად მნიშვნელოვან ზარალს მიაყენებს. ამიტომაც არის, რომ ბევრმა უსაშველო სანქციების თავიდან არიდების მიზნით სავაჭრო ობიექტი საერთოდ დახურა.

ამასთან, ბაზრობების მოვაჭრეთათვის ძალიან დიდი პრობლემაა ახალი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად საბუღალტრო ანგარიშების წარმოების უცოდინრობა, რაც მომავალში უამრავ უსიამოვნებასა და კიდევ უფრო მეტი ჯარიმის გადახდას უქადის თითოეულს.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს გაზეთში, ეკონომიკის დოქტორ თამაზ ვაშაკიძესთან გამოქვეყნებულ ინტერვიუში, რესპონდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სინგაპურში, რომელთანაც ეკონომიკურად გასასწორებლად ასე „ვიჭიმებით“, ადგილობრივი ხელისუფლება, მცირე და მიკრო ბიზნესის ხელშეწყობისკენ მიმართულ ასზე მეტ (!ძ უფასო პროგრამას ახორციელებს! ჩვენმა ხელისუფლებამ კი ახალი მოთხოვნები რომ წამოუყენა, მცირე და მიკრო ბიზნესის წარმომადგენლებს, ამ მხრივ, იმ თოთო ბავშვის მშობელივით მოექცა, წყალში რომ გადააგდებს, ცურვა შენით ისწავლეო. თუ მსხვილ საწარმოებს ახალი საბუღალტრო უნარ-ჩვევების მცოდნე ბუღალტრის დაქირავება მაინცდამაინც არ გაუჭირდებათ (თუმცა ისიც საკითხავია, სადღეისოდ რამდენია ისეთი ბუღალტერი, ვისაც ახალი მოთხოვნების შესაბამისი სრულფასოვანი ცოდნა აქვსძ, მცირე და, მით უმეტეს, მიკრო ბიზნესის წარმომადგენელთათვის ეს ნამდვილად ხელმიუწვდომელი ფუფუნებაა.

ამდენად, ეს მათი ბიზნესის ბოლოს მომღები კიდევ ერთი მძლავრი „წიხლია“ ხელისუფლების მხრიდან. ამიტომ, ნაკლებად დახვეწილი და ორგანიზებული ბიზნესის მწარმოებლები მათთვის საბუღალტრო წარმოების ნორმების გამარტივებას მოითხოვენ, რადგან ბუღალტრების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გადამზადების თაობაზე თბილისის მერიის ადრინდელი დაპირებები, ჯერჯერობით არ შესრულებულა.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

# ბანკებმა და საპროცესო გარიგებებმა 5 ათასი ოჯახი უბინაოდ დატოვა

**პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის, თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ვიქტორ დოლიძის განცხადებით, თავშესაფრის მაძიებელ თბილისელთა რაოდენობა კატასტროფულად იზრდება.**

**როგორც მან გუშინ საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, დედაქალაქში მცხოვრები 5000-მდე ოჯახი უსახლკაროდ არის დარჩენილი. ამის მიზეზად ვიქტორ დოლიძე შემდეგ გარემოებებს ასახელებს: ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების დასაფარად ბინების გაყიდვა, ბანკის სესხების დაუფარაობა და ოჯახის წევრთა მიმართ განხორციელებული სამართალდევნისას საპროცესო გარიგებების თანხის დაფარვა.**

**— თავისუფალი დემოკრატები“ მიიჩნევენ, რომ შექმნილი ვითარება ქვეყანაში გატარებული გაუაზრებელი, უსისტემო და უპასუხისმგებლო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. ისინი ქალაქის მერიას საკრებულოს ოპოზიციონერი წევრების მონაწილეობით ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნას სთავაზობენ, რომელიც საკრებულოსა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიისა და საკრებულოს სხდომებს შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად მოამზადებენ.**

**ვიქტორ დოლიძის განმარტებით, სოციალური საცხოვრისი ერთგვარი დროებითი თავშესაფარი უნდა იყოს, სადაც უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს დროებით შეასახლებენ.**

ჯი-ეიჩ-ენი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №178

# როცა დასრულდა BERLINALE

## ზოგი რამ თანამედროვე გერმანულ კინოზე




გერმანული კინოს პოპულარიზაციას და განვითარებას, საფესტივალო პროგრამაში მონაწილეობას ხელი შეუწყო იმან, რომ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორი **დიტერ კოსლიკი** განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავისი ქვეყნის კინოს.

ამ ტენდენციამ თვალსაჩინო ხასიათი მიიღო ბოლო წლების განმავლობაში, როცა ბერლინალეზე წარმოდგენილი იყო ცნობილი გერმანელი რეჟისორების **დანი ლევის, ტომ ტიკვერის, ანდრეას დრეზდენის, დორის დორიეს, ოსკარ როელერის, ულრიჰ კიოლერის, ფატი აკინის, ვოლფგანგ ბეკერის** ფილმები.

თურქული წარმოშობის გერმანელი რეჟისორის **ფატი აკინის** ფილმი „Gegen die Wand" 2004 წლის ბერლინალეს ტრიუმფატორი გახდა. ეს ფილმი ბერლინალეს მთავარი პრიზით – ოქროს დათვით დაჯილდოვდა. გარდა ამისა, საუკეთესო მსახიობური ოსტატობისათვის სხვადასხვა წლებში ვერცხლის დათვით დაჯილდოვდნენ **ნინა ჰოსი, იულია დენჩი, მორიც ბლაიბტროი** და სხვები.

ამ მოკლე ისტორიის გახსენება იმიტომ დაგვჭირდა, რათა მკითხველისათვის შეგვეხსენებინა გერმანული კინოს განვითარება, ტენდენციები და მისი წარმატება.

ბერლინის 61-ე საერთაშორისო კინოფესტივალი ასევე აქტიურად ეხმაურება გერმანული კინოს პრობლემებს. ამ ფესტივალზე კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ ისეთი სახელგანთქმული რეჟისორები, როგორებიცაა **ვიმ ვენდერსი** და **ვერნერ ჰერცოგი.**

**პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ გერმანული მხატვრული კინოს დიდოსტატები მხოლოდ დოკუმენტური ფილმებით იყვნენ წარმოდგენილნი.** თუმცა, ეს მათი არჩევანია.

**ვენდერსის** დოკუმენტური ფილმი „პინა" მოგვითხრობს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი დიდი გერმანელი ქორეოგრაფის **პინა ბაუშის** შესახებ, რომელმაც 70-იანი წლების დასაწყისში, არაფრით გამორჩეულ პატარა ქალაქ ვუპერტალში, დააარსა თავისი ცეკვის თეატრი. რამდენიმე წელში ეს თეატრი, რომელსაც თავად პინა ბაუში „Tanztheater" - „ცეკვის თეატრს" უწოდებს, გერმანული კულტურის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

2006 წელს **ვიმ ვენდერსმა** ჩაიფიქრა ლეგენდარული **პინა ბაუშის** შესახებ ფილმის გადაღება, მაგრამ ფილმის დაწყებას ხელი შეუშალა ბაუშის ახალმა თეატრალურმა პროექტმა, რომლითაც მას საგასტროლო ტურნე უნდა დაეწყო. 2009 წლის ზაფხულში ქორეოგრაფის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ვენდერსს თითქოს ახალი იმპულსი შესძინა ფილმის გადასაღებად. უკვე სექტემბერში მან დაიწყო გადაღებები, რომელიც 2010 წელს დაასრულა და ფილმი, სახელწოდებით „პინა" ბერლინალეს მაყურებელმა იხილა.

100 წუთის განმავლობაში მაყურებელი თითქოს ცეკვის კინემატოგრაფიულ ენაზე გარდასახვის მოწმეა. 27 მოცეკვავის მსხვილი ხედი და მათი ნაამბობი ერთ სიუჟეტად კრავს მთელი ფილმის ისტორიას. რეჟისორის მიერ გამოყენებულია პრინციპი „თეატრი თეატრში."




განსაკუთრებული მხატვრული ეფექტი აქვს ლანდშაფტისა და ცეკვის შერწყმას, რომელიც ძალიან მოულოდნელი და უჩვეულოა; მოცეკვავეები ვუპერტალის ქუჩებში, ბაღებში, ქარხნების წინ ცეკვავენ. ეს ყველაფერი კი მომაჯადოებელ, მომნუსხველ ეფექტს ქმნის.

ყველაფერ ამას ემატება შესანიშნავი საუნდი, სადაც გამოყენებულია თითქმის ყველა მუსიკალური თემა პინა ბაუშის სპექტაკლებიდან და ოპერატორის ბრწყინვალე ნამუშევარი.

ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ფილმი გადაღებულია 3D – ანუ 3-განზომილებიან სივრცის ფორმატში, რაც განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს. დარბაზში მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს ესაა ხელით შეეხება მსახიობებს.

რაც შეეხება **ვერნერ ჰერცოგის** დოკუმენტურ ფილმს „Cave of Forgotten Dreams", მოგვითხრობს სამხრეთ საფრანგეთში მდებარე ცნობილი კარსტული მღვიმის შესახებ. უფრო ზუსტად, ამ მღვიმის კედლებზე აღმოჩენილი და გამოკვლეული კაცობრიობის ისტორიაში პირველი ნახატების შესახებ. სპეციალისტები ამ ნახატებს დაახლოებით 30000 წლით ათარიღებენ.

გამოსახულებები იმდენად შთამბეჭდავია, რომ ბიზონების, მამონტების, ცხენების ფიგურები თითქოს თანამედროვე ეპოქას განეკუთვნება.

ჰერცოგი პირველად არ მიმართავს რეპორტაჟული გადაღების მანერას. ჯერ კიდევ 80-იან წლებში ჰერცოგმა იმოგზაურა სამხრეთ ამერიკაში და მდინარე ამაზონის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო.

ამჯერად მთელი გადამღები ჯგუფი შოვიეს მღვიმეში მხოლოდ ხელოვნურ განათებას იყენებს, რათა უძველესი ნახატები ხარისხიანად და დეტალურად აღწეროს.

შესაძლოა, ფილმს არ ჰქონდეს განსაკუთრებული მხატვრულობის პრეტენზია, მაგრამ უდავოდ დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. მასში დაწვრილებით არის გაანალიზებული არქეოლოგების, სპელეოლოგების მიერ დეტალურად მოთხრობილი ისტორია, ძველებური ნახატების, მათი ქიმიური თუ ფიზიკური ანალიზის შესახებ, იმ საოცრებაზე, რომ 30000 წლის განმავლობაში ნახატები არ დაზიანდა.

გარდა ამისა, ბერლინალეზე წარმოდგენილი იყო **ულრიჰ კიოლერისა** და **ანდრეს ფაიელის** ფილმები.

ულრიჰ კიოლერის „Schlafkrankheit" საუკეთესო რეჟისურისთვის ვერცხლის დათვით დაჯილდოვდა, ხოლო ანდრეს ფაიელის ფილმს „Wer wenn nicht wir" ბერლინის ფესტივალის დამაარსებლის ალფრედ ბაუერის პრიზი გადაეცა.

წლევანდელ ფესტივალზე გერმანული ფილმების წარმოდგენამ დიდი ინტერესით ჩაიარა, მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა (როგორც დოკუმენტური, ისე მხატვრული). ამან კრიტიკოსებს საბაბი მისცა, ესაუბრათ გერმანული კინოს აღდგენაზე, ძველი დიდების დაბრუნებაზე. ახალმა თაობამ ახალი თემები, მხატვრული საშუალებები უნდა მოძებნოს.

ფესტივალი ამ ფაქტს მომავალშიც წაახალისებს, მით უმეტეს რომ დიტერ კოსლიკი ისევ რჩება ბერლინალეს დირექტორად. მასზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული.

**ლია ციცაგი-ვიტეკი.**
**„კვირაძალის საკითხავისთვის"**
**ბერლინიდან .**

# ადამიანი არასდროსაა მარტო...

**„წარსულს ბევრი რამ შეგიძლია დაესესხო – თემა, სიუჟეტი და ფორმაც კი, მაგრამ სული, ხასიათი და სახე ნაწარმოებში დღევანდელი უნდა იყოს".**
– კოგა იმედაშვილი.

* * *

„როცა პაპაჩემს **იოსებ იმედაშვილს** ვიხსენებ, ჩვენი ძველი სახლი მაგონდება, მთაწმინდაზე ქართული აგურითა და ტალახით ნაშენი. იგი მუდამ სავსე იყო გლეხებით. ჩამოდიოდნენ ხიმშიდან, წერაქვიდან, აჭარიდან, მთიდან – ვის რა უნდოდა და ვის რა. აქ ყოველთვის იზრდებოდნენ ვიღაც სხვა – არა ჩვენი გვარისა, მაგრამ ოჯახის შვილად მიღებულნი. ეს იყო საოცარი ტრადიცია ძველი ქართული ოჯახისა – კარი ჰქონდათ მუდამ ღია. ის ფაქტიც აღსანიშნავია, რომ დამწყები პოეტები, სწორედ ამ სახლიდან იწყებდნენ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას. აქ დაიწერა წიგნი „ოქროსანი", რომელიც ჩვენი სასიქადულო მწერლების ავტოგრაფებით აიგო. ვინც კი ამ სახლში მოვიდოდა, ყველა ტოვებდა რაიმე სახის ჩანაწერს.



იოსებ იმედაშვილი

პაპაჩემი, მუდმივი წნეხის მიუხედავად, მაინც ახერხებდა ქართული საქმის კეთებას. მან გლეხური სიჯიუტით მოიარა მთელი საქართველო. კითხულობდა ლექციების კურსს: – **„ვინ ვიყავით, ვინ ვართ და ვინ უნდა ვიყვნეთ"...**

თავის ახალგაზრდობაში პაპა დაპირისპირებული იყო სოციალ-დემოკრატებთან. არადა, თავიდან თვითონაც სოციალ-დემოკრატი იყო. ის საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს. ტურა მაისურაძე (ცნობილი ტერორისტი, მან ესროლა) ყვება თავის მოგონებაში: პაპას დასაფლავებაზე სოციალ-დემოკრატების ადგილობრივი ჯგუფის უფროსმა უთხრა: „რა, ერთი კაცისთვის ვერ მოგივლიათო... ჩვენ გავიგეთ, ის ერთი კაცი უნდა მოგვეკლაო და მოვუწყვეთ ტერორიო... ერთ-ერთი მონაწილე გვერდით ეჯდა და მას მოხვდა ტყვია. პაპას ცხვირზე მოხვდა, მაგრამ გადარჩა.

იოსებ იმედაშვილის დაჭერას ცდილობდნენ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. 1926 წელს ჟურნალი **„თეატრი და ცხოვრება"** დაუხურეს. პაპაჩემი სერგო ორჯონიკიძესთან მისულა და უთქვამს: ჟურნალს მიხურავენო. მას ასეთი პასუხი გაუცია. „ხო, შენზე ამბობენ: ჟურნალისტ-



კოგა იმედაშვილი

№ 46. შაბათი, 12 მარტი, 2011 წელი.

# ვარსკვლავი ვარსკვლავის შესახებ

ეს უნიკალური ხელნაწერი ცნობილი მსახიობის, მისი ეპოქის მუზის, მშვენიერი **თამარ ციციშვილის** ქალიშვილმა, ქალბატონმა **მანანა გედევანიშვილმა** გაგვაცნო.

წერილის შინაარსი მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი. გარდა იმისა, რომ ქართული კინოს კაშკაშა ვარსკვლავი კოლეგაზე პროფესიულად საუბრობს (რაც მაშინ და ახლაც იშვიათობა გახლავთ), სხვისი ნიჭით თუ გარეგნობით გულწრფელ აღტაცებას გამოხატავს.

აქ ჩანს ქალბატონ თამარის არა მარტო პიროვნება, არამედ წერის დახვეწილი კულტურაც, გემოვნებაც და რაც მთავარია, ფასეულობებთან დამოკიდებულება.

თამარ ციციშვილი – XX საუკუნის არაერთი მხატვრის თუ პოეტის მუზა **(ლადო გუდიაშვილი, კორნელი სანაძე, მოსე თოიძე, ირაკლი თოიძე, რობერტ სტურუა, გიორგი ლეონიძე, სოსო გრიშაშვილი, შალვა აფხაიძე...)** უაღრესად მოკრძალებული ადამიანი ყოფილა... ალბათ ცალკე საუბრის საგანია ურთიერთობების მისეული სტილი, სხვადასხვა თაობის ხელოვანთა მიმართ მზრუნველობის გამოხატვა, თანადგომა...

ქალბატონი თამარის არქივში, სხვა ფოტოებთან და ხელნაწერებთან ერთად ინახება მისი მოგონებები **ნუცა ჩხეიძეზე, თამარ ბოლქვაძეზე, ნატო ვაჩნაძეზე...** რაც საბოლოოდ ალბათ ერთ მონოგრაფიაში მოიყრის თავს...

ამჯერად გთავაზობთ **თამარ ციციშვილის** წერილს ნატო ვაჩნაძეზე, რომელიც დაიწერა ნატოს ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ... იგი დაუმთავრებელია და იქნებ ემოციების გამო ბოლო ფრაზა შეწყვეტილია და დაუსრულებელი...





თამარ ციციშვილი

### *ნატოზე*

***იმ ოციან წლებში, როცა ნატო ვაჩნაძე პირველად გამოჩნდა ჩვენ ეროვნულ კინოში და მაშინვე დაიპყრო ყველა მაყურებლის გული, სხვა ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ეკრანებზედაც ბევრი ახალგაზრდა, შესანიშნავი გარეგნული თუ შინაგანი მონაცემების მქონე მსახიობიც გაჩნდა, მაგრამ სამი, ოთხი ფილმის შემდეგ ისინი აღარ ჩანდნენ ეკრანზე და ერთი ათეული წლის შემდეგ საერთოდ მიივიწყეს...***

***მაგრამ ნატო პირველი ფილმიდანვე გახდა უსაყვარლესი კინომსახიობი, პირველი ფილმიდანვე მოიპოვა ლეგენდარული პოპულარობა, სიყვარული მაყურებლისა და აღიარებული იქნა უდიდეს ვარსკვლავადაც. ეს ხალხის სიყვარული და აღტაცება გაყვა მის მთელ ცხოვრებას, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.***

***რითი მოიპოვა ნატომ ასეთი აღიარება? იმ ფილმებით, რომლებშიაც თამაშობდა და იმ დროისთვის საუკეთესო ფილმებად ითვლებოდნენ, თუ ეს დამსახურება იყო შესანიშნავი რეჟისორებისა და ოპერატორებისა, ვისთანაც თავიდანვე მოუხდა მუშაობა? რასაკვირველია, არა! ამის მიზეზი ნატო იყო, ბუნებიდან უხვად დაჯილდოებული, თვალწარმტაცი სილამაზით, უზომო მომხიბვლელობით, რომელიც ასე ძალიან იგრძნობა მის ყოველ გამოხედვაში, ლაპარაკში, მის მოძრაობაში... აჯადოებდა ადამიანს, მაგრამ მთავარი ღირსება ნატოს სილამაზისა მისი თვალების გამომეტყველება იყო, თვალების, მხოლოდ და მხოლოდ ნატოსეული თვალების, რომელიც თითქოს ცრემლჩადგმული, ღრმა სევდიანი ბავშვური, რაღაც ზეციურ იერს ჰფენდა მთელ მის სილამაზეს. ყველაფერმა ამან მოუპოვა მას სახალხო აღიარება და არნახული პოპულარობა. მე მაგონდება ჩვენი ოპერატორების ხშირად თქმული სიტყვები, რომ ნატოს გადაღება ძალიან ადვილია, გადაიღებ მას პროფილში თუ ანფასში ან ნებისმიერ რაკურსში, ის მაინც კარგად გამოდის ეკრანზე... მაგრამ მე არ შემიძლიან გულისტკენით აქ არ ავღნიშნო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნატო ყველა ფილმში შესანიშნავადაა გადაღებული, მაინც ვერც ერთმა კინოკამერამ და ვერც ერთმა მხატვრის ფუნჯმა ვერ შეძლო მისი თვალების ზუსტი წარმოსახვა... იმ გამომეტყველების, როგორიც მას ცხოვრებაში ჰქონდა, ალბათ ზღვა ხიბლის და სიფაქიზის გამო მისი გადმოცემა ძნელი იყო.***

***საინტერესო და გასაკვირი კიდევ ის არის, რომ ასეთი ნაზი და ღვთაებრივი სილამაზის ქალს ჰქონდა მეტად საქმიანი, ენერგიული, ვაჟკაცური და მგზნებარე ხასიათი. მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო. ამაში ბევრი დამემოწმება. უდიდეს ბედნიერებად ვთვლი და მეამაყება კიდეც, რომ მე მომიხდა ნატასთან ერთად ერთ ფილმში გადაღება, ეს იყო ფილმი „პოეტის აკვანი“. მანამდეც ჩვენი ურთიერთობა მეგობრული იყო, მაგრამ ამ ფილმის შემდეგ უფრო ახლო და მჭიდრო გახდა და მე მომეცა საშუალება მასთან ხშირად ყოფნის დროს მიმეღო უდიდესი ესთეტიური სიამოვნება და ჩავკვირვებოდი მის შინაგან სამყაროს, რომელიც ასე მდიდარი და თავისებური იყო. ჩვენი მეგობრობა განვითარდა უფრო მაშინ, როცა ფილმის „პოეტის აკვანის“ გადამღები ჯგუფი და ზოგი მსახიობები მიწვეული ვიყავით რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში მაყურებლებთან შესახვედრად. ეს იყო შესანიშნავი მოგზაურობა, რომელიც გრძელდებოდა თითქმის ერთ თვეს. ბევრის გახსენება და მოყოლა შეიძლება, მაგრამ მე ვიტყვი მხოლოდ იმას, თუ როგორი გულწრფელი სიხარულით და აღტაცებით ხვდებოდნენ ნატოს, რა ქება-დიდება, რა სიყვარული ისმოდა ფილმის ჩვენების წინ და შემდეგ ტრიბუნებიდან, მასპინძლებისგან.***

***რა ადრე, რა მოულოდნელად, რა ტრაღიკულად შეწყდა მისი სიცოცხლე, რამდენ საინტერესო, თავისებურ, ნატოსებურ სახეებს შეჰქმნიდა ის კიდევ ეკრანებზე.***

***მას ისე უყვარდა სიცოცხლე!!! მას ხომ ისე უყვარდა...***

(აქ ხელნაწერი წყდება)





ნატო ვაჩნაძე

---

ვის ქაღალდი თურქეთიდან შემოაქვსო“. „მერე თქვენ გჯერათო?“ – „არა, როგორ მჯერა. ეგრე რომ იყოს, მეცოდინებოდაო, მაგრამ მაინცო...“ თითქოს, მის გარშემო წრე იკვრება – ორმოცდაათი წლის კაცს სტამბა და ჟურნალი დაუხურეს. ფაქტიურად ექვსი შვილის პატრონი ჰაერში დატოვეს.

პეტრა კაკაბაძე იყო ასეთი, სტალინის ახლო ამხანაგი სასულიერო სემინარიიდან. სტალინთან ჩასულა. მას აქაური ამბები მოუყოლია, იოსებ იმედაშვილიც უკითხავს და დაუვალებია – „გამიგე ერთი, რამე ხომ არ სჭირდებაო. პაპაჩემს ჟურნალის აღდგენა და უცხო სიტყვათა ლექსიკონის გამოცემის ნებართვა უთხოვია. ჟურნალი, რა თქმა უნდა, არ აღუდგინეს, მაგრამ ლექსიკონი კი გამოიცა. პაპა, პარალელურად მუშაობდა ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონზეც. თუმცა, ეს უკანასკნელი ვერ გამოიცა.

1931 წელს, როდესაც მწერალთა კავშირის „წმენდა“ იყო, იოსებ იმედაშვილიც გარიცხეს, **პავლე ინგოროყვასთან და კონსტანტინე გამსახურდიასთან** ერთად – შოვინიზმისა და ნაციონალიზმისათვის, ყველაზე დიდი პარადოქსი კი იცით რა იყო? – შერჩეული იყო სამეული, რომლებსაც უნდა შეედგინა გასარიცხთა სია და მათ შორის იყო ტიციან ტაბიძეც, პაპას თანამშრომელი, მისი კორესპონდენტი მოსკოვში. ტიციანის ნაწერები „თეატრში და ცხოვრებაში“ იბეჭდებოდა. წარმოიდგინეთ ეხლა, რა დღემდე უნდა მიეყვანათ ტიციანი, ხელი რომ მოეწერა ამ დოკუმენტისთვის. ასეთი მდგომარეობა იყო, ცოტა გაუგებარიც კი... მერე პაპა მეტეხის ციხეში ჩასვეს, ბებიაჩემი იძულებული გახდა



ორი შვილი უპატრონოთა სახლში – ბრეთში დაეტოვებინა. პაპას, რომ გაუგია, გადარეულა და ბავშვები მალე დაუბრუნეს უკან...

მთელი თავისი ცხოვრება ტანჯვით იყო სავსე. 1924 წელს ბიძაჩემი შალვა დაიჭირეს. ის ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი იყო. 1930 წელს აჯანყების შემდეგ უფროსი ბიძა დააპატიმრეს. გაიოზ იმედაშვილი კი ასპირანტურიდან გარიცხეს. გაიოზი ძალიან დიდი ემოციის კაცი იყო. ის, ფაქტიურად გაერიდა ამ ხელისუფლებას. შიდა ემიგრაციაში ცხოვრობდა. ძველ ქართულსა და ვეფხისტყაოსანს იკვლევდა.

სენტიმენტალობაში ნუ ჩამითვლით და პაპას გარდაცვალებაც უცნაური იყო... ცოტა ხანს იავადმყოფა (სისხლის გათეთრება ქონდა). იწინასწარმეტყველა: ხუთ მაისს მოვკვდებიო (მისი მეუღლის გარდაცვალების თარიღი იყო). პირველ მაისს მოსე თოიძემ მოინახულა: „კარგად ხარ იოსებ, აი, უკვე გაზაფხულდაო“... უი, ოთხი დღეღა დამრჩენიაო“. პაპა, მართლაც, ხუთ მაისს გარდაიცვალა...

სახლს რაც შეეხება, ჯერ კიდევ ცოცხლობს ლიტერატურული კურსი... ჩემს წიგნებს რომ ვუყურებ იცით, რა განცდა მაქვს, – აი, საყვარელი საფლავები როა, რადგან ის დრო წავიდა. ის პერიოდი, როცა ეს წიგნები დაიწერა... დამთავრდა...

ვფიქრობ, რაიმე თუ შეუქმნია ადამიანს დიდებული – ეს მარტოობის დროს ხდება. თუ ადამიანს არ შეუძლია მარტოობაში არსებობა – საშინელებაა. ადამიანს უნდა ჰქონდეს იმდენი ფანტაზია და შინაგანი ენერგია, რომ მარტოობა დაძლიოს... ჩემ შვილიშვილს ვაკვირდები ხოლმე... საათობით თამაშობს, ტიტინებს – ის მარტო არ არის, თავის სამყარო აქვს. მე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, როცა მარტო ვარ. და საერთოდ, ადამიანი არასდროს არ არის მარტო, თვით მარტოობის ჟამსაც კი. არ არსებობს წარსული, აწმყო და მომავალი ცალ-ცალკე – ყველა და ყველაფერი გულისხმობს ერთმანეთს, შეიცავს და აგრძელებს ერთმანეთს“....

ჩაიწერა
**ქეთევან დარბაიძემ**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დონალდ ტრამპი საქართველოში მიდის

**ხუთშაბათს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა დაესწროს კონტრაქტის გაფორმებას უძრავი ქონების სფეროში ცნობილ ამერიკელ ბიზნესმენთან დონალდ ტრამპთან. საქართველოსთან კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს თბილისსა და ბათუმში რამდენიმე მაღლივი შენობის მშენებლობას, რომლებიც ჰგვანან ნიუ-იორკის „ტრამპ ტაუერს", გახდება დონალდ ტრამპის პირველი მნიშვნელოვანი ინვესტიცია პოსტსაბჭოთა სივრცეში.**

მიხეილ სააკაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებული ვიზიტის კომენტირების დროს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მანანა მანჯგალაძემ მას „საინვესტიციო" უწოდა. მისი სიტყვებით, „მთავარი მოვლენა გახდება პრეზიდენტ სააკაშვილის შეხვედრა Trump Organization და Trump Entertainment Resorts-ის მფლობელთან დონალდ ტრამპთან და დიდი საინვესტიციო პროექტის გაფორმება უძრავი ქონების სფეროში".

კონტრაქტის დეტალები, რომლის ხელმოწერაც გათვალისწინებულია კვირის ბოლოს, ჯერჯერობით არ ხმაურდება. მაგრამ წყარომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩვენ გაზეთს აცნობა, რომ საკითხი შეეხება პროექტს თბილისსა და ბათუმში რამდენიმე მაღლივი შენობის მშენებლობის შესახებ, რომლებიც ჰგვანან ნიუ-იორკის „ტრამპ ტაუერს", აგრეთვე თბილისის ცენტრში ვარდების მოედნის რეკონსტრუქციას, რომელიც სასტუმრო „რედისონის" მახლობლადაა. სასტუმრო ეკუთვნის საქართველო-ყაზახეთის „სილქ როუდ გრუპს". სწორედ ეს დეველოპერული კომპანია იქნება დონალდ ტრამპის მთავარი პარტნიორი.

საქართველოსთან კონტრაქტი დონალდ ტრამპის პირველი მნიშვნელოვანი ინვესტიცია იქნება პოსტსაბჭოთა სივრცეში. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავიდანვე ლობირებდა ამ პროექტს და ორჯერ შეხვდა კიდეც დონალდ ტრამპს მის ნიუ-იორკის ოფისში. უკანასკნელი შეხვედრის დროს, რომელიც 2010 წლის აპრილში გაიმართა, დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მას ძალიან აინტერესებს ინვესტიციების პერსპექტივა საქართველოში და ამ მიზნით ყურადღებით სწავლობს მთელ რიგ კონკრეტულ პროექტებს. იმავე წლის ზაფხულს საქართველოში ჩამოვიდა მისი ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი მაიკლ კოენი, სექტემბერში კი დონალდ ტრამპის კომპანიამ და „სილქ როუდ გრუპმა" ხელი მოაწერეს მემორანდუმს ბათუმში მაღლივი სასტუმროს მშენებლობის, ვარდების მოედნის რეკონსტრუქციისა და თბილისის ცენტრში საქანელას ქუჩის რეკონსტრუქციის შესახებ.




„საქართველოში აშენდება ნიუ-იორკის ხსენებული ცათამბჯენის ზუსტი ანალოგი, — აღნიშნა მემორანდუმზე ხელმოწერის შემდეგ მაიკლ კოენმა. — ამას გარდა ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს, განვახორციელოთ დიდი პროექტები თბილისსა და ბოზოყვათში". ამერიკელი ბიზნესმენი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მაღლივ შენობებს, რომლებიც აიგება საქართველოში, ერქვათ მისი სახელი. ქართველი ექსპერტების აზრით, მიხეილ სააკაშვილისთვის ბატონ ტრამპთან კონტრაქტის მნიშვნელობა სცილდება საინვესტიციო პროექტის ფარგლებს.

„უძრავი ქონების ამერიკელ მეფესთან კონტრაქტი მეტად პრესტიჟული გარიგებაა ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა", — განუცხადა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს დამოუკიდებელმა პოლიტოლოგმა ნიკა იმნაიშვილმა. მისი სიტყვებით, კონტრაქტის რეალიზაციის პერიოდში საქართველოს ხელისუფლება მიზნად ისახავს, უჩვენოს მთელ მსოფლიოს, რომ მათაც შეეძლოთ გააუმჯობესებინათ საინვესტიციო კლიმატი ქვეყანაში, მიუხედავად რუსეთთან კვლავ მიმდინარე დაპირისპირებისა.

# აფხაზეთში ნათესავებისა და ახლობლების საფლავების სანახავად, შესაძლოა, საქართველოდან დელეგაცია შეუშვან

**ბიზნესმენმა გოგი თოფაძემ აფხაზ კოლეგებს წელს, აღდგომის მეორე დღეს, აფხაზეთში ნათესავებისა და ახლობლების საფლავების სანახავად საქართველოდან დელეგაციის ჩასვლის ორგანიზება შესთავაზა. ამის შესახებ თოფაძემ „პირველს" კვიპროსში 6-დღიანი ვიზიტის შეფასებისას განუცხადა.**

„შეხვედრის ორგანიზატორი ორგანიზაცია „ბიზნესისა და განვითარების კავკასიის ქსელი" იყო, რომელიც 2005 წელს შეიქმნა. ეს ორგანიზაცია ისეთ პროექტებსა და ინიციატივებს ახორციელებს, რომლებიც კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ბიზნესის როლის გაზრდას ისახავს მიზნად. ვიზიტის ფარგლებში ქართული და აფხაზური მხარეები — 7-7 წევრით, ოსური კი 2 ბიზნესმენით იყო წარმოდგენილი. სხვათა შორის, იქ ქართული გვარის მქონე აფხაზებიც იყვნენ, რომლებიც მეტი სითამამითა და აქტიურობით გამოირჩეოდნენ. ფაქტია, რომ არსებულ სიტუაციაში მართალი არც ერთი მხარე არაა. დღეისათვის აფხაზეთში თაობები იზრდებიან, რომელთაც პირველ მტრად ქართველები ჰგონიათ, ამიტომ ჩვენი თაობის ვალია, ერთმანეთში „მტრის ხატი" დავამსხვრიოთ და ურთიერთობა შევარბილოთ. საქართველოში ძალიან ბევრია აფხაზეთიდან დევნილი როგორც ქართველი, ასევე აფხაზი, რომელთაც აფხაზეთში ნათესავებისა და ახლობლების საფლავები დარჩათ. ჩვენ შევთავაზეთ აფხაზ კოლეგებს, მთავრობების შესაბამისი ნების არსებობის შემთხვევაში, ორგანიზება გავუწიოთ აღდგომის მეორე დღეს აფხაზეთში ჩასვლასა და წინაპრების საფლავების მონახულებას. ეს ძალიან კარგი ჟესტი იქნება", — განუცხადა „პირველს" თოფაძემ და იქვე დასძინა, რომ აღნიშნულ ინიციატივას აფხაზები ინტერესით შეხვდნენ.

ამასთან, როგორც თოფაძემ აღნიშნა, შეხვედრაზე მხარეებმა ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივების გარდა, ქართველი, ოსი და აფხაზი ბიზნესმენები კონფლიქტის მოგვარების კვიპროსულ მოდელსაც გაეცნენ.

„ჩვენ გავეცანით კონფლიქტის მოგვარების კვიპროსულ მოდელს, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ეს მოდელი პირადად ჩემთვის მიუღებელია და არ მომწონს. კვიპროსში, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, ფაქტობრივად ორი სახელმწიფოა: ერთი — კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, მეორე — კვიპროსის ბერძნული ნაწილი. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის განხორციელება მხოლოდ კვიპროსის ბერძნულ ნაწილს შეუძლია, რადგან ევროკავშირი მას აღიარებს, თურქულ ნაწილს კი მხოლოდ თურქეთში ექსპორტის საშუალება აქვს. მე პირადად მსგავსი მშვიდობა მშვიდობად არ მიმაჩნია", — აღნიშნა თოფაძემ.

მისივე თქმით, მსგავსი შეხვედრების ორგანიზება სამომავლოდაც იგეგმება.

„მე ვუთხარი აფხაზ და ოს ბიზნესმენებს, მორიგი შეხვედრა ჩვენთან — საქართველოში ან აფხაზეთში გავმართოთ, ან თუნდაც სოჭში. აღარ გვინდა კვიპროსი და სხვა ქვეყნები. თუმცა ახლა მთავარია, აღდგომის მეორე დღეს აფხაზეთში საფლავების მოსანახულებლად ჩასვლის ორგანიზება შევძლოთ", — თქვა ბატონმა გოგიმ და იქვე დასძინა, რომ შემდეგი შეხვედრა ზაფხულისთვისაა დაგეგმილი.

ბიზნესმენმა კვიპროსული შეხვედრის აფხაზი და ოსი მონაწილეების დასახელებისგან, მათივე თხოვნით, თავი შეიკავა.

ცნობისთვის, შეხვედრის ორგანიზატორი ორგანიზაცია „ბიზნესისა და განვითარების კავკასიის ქსელი" იყო, რომელიც 2005 წელს შეიქმნა. ეს ორგანიზაცია ისეთ პროექტებსა და ინიციატივებს ახორციელებს, რომლებიც კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ბიზნესის როლის გაზრდას ისახავს მიზნად.

„პირველი"



## დედამიწის ზურგზე



**ძლიერი მიწისძვრა იაპონიაში: არიან დაზარალებულები. ცუნამმა სახალინსა და კურილს მიაღწია**

ტოკიოში არ მუშაობს ქსელური კავშირგაბმულობა, იტყობინებიან ხანძრების შესახებ. სანაპიროს უტევს ათი მეტრის სიმაღლის ცუნამი. წყალი ჩრდილოეთ სანაპიროებს ფარავს. სახალინზე ხდება მოსახლეობის ევაკუაცია სანაპირო რაიონებიდან, ხომალდები გადიან ღია ზღვაში, რათა ნაპირზე არ დაიმსხვრნენ.

* * *

**კადაფის ჯარები ავიწროებენ მეამბოხეებს რას-ლანუფში. დიქტატორს აღმოაჩნდა „საიდუმლო იარაღი"**



მეამბოხეები იტყობინებიან, რომ ქალაქის ცენტრში დაინახეს ჯარისკაცები და ტანკები, მიმდინარეობს შეტაკებები. ამერიკის დაზვერვამ გამოარკვია, რომ კადაფის აქვს მრავალი მილიარდი, რომელიც დამალულია ტრიპოლში. ეს ასტრონომიული თანხა საშუალებას მისცემს მას, დიდხანს გაუწიოს შეიარაღებული წინააღმდეგობა ოპოზიციის მომხრეებს.

* * *

**ეგვიპტეში გაათავისუფლეს 1981 წელს პრეზიდენტ ანვარ სადათის მკვლელობისთვის გასამართლებულები**



ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც ხელისუფლების სათავეში იყო 1970 წლიდან, მოკლეს 6 ოქტომბერს კაიროში. სამხედრო პარადის დროს 1973 წელს არაბეთ-ისრაელის ომის დაწყების წლისთავთან დაკავშირებით ეგვიპტის არმიის ოფიცრებმა ცეცხლი გაუხსნეს ტრიბუნას, რომელზეც სახელმწიფოს მეთაური იყო.

* * *

**იტალია უკვე არ აღიარებს მუამარ კადაფის მთავრობის ლეგიტიმურობას**

ამის შესახებ განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატინიმ. ამავე დროს, როდესაც კომენტარს უკეთებდა საფრანგეთის გადაწყვეტილებას ლიბიის დროებითი ეროვნული საბჭოს აღიარებას, ფრატინიმ აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს შეუძლია, აღიაროს სხვა სახელმწიფოები, მაგრამ არა ალტერნატიული მთავრობები ან ჯგუფები".

* * *

**საფრანგეთში დააპატიმრეს ბასკი სეპარატისტების სავარაუდო ლიდერი**



ალიხანდრო ზობარან არიოლა და „ეტას" კიდევ სამი სეპარატისტი აღმოჩნდნენ საფრანგეთის პოლიციის ხელში სპეციალური ოპერაციის დროს, რომელიც ბელგიის საზღვართან განხორციელდა. ადგილზე აღმოაჩინეს აგრეთვე იარაღი. ევროკავშირის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში „ეტა" ტერორისტულ ორგანიზაციადაა გამოცხადებული.

მძლეოსნობა

# რეკორდი გაიმეორა, მაგრამ...

**საფრანგეთის დედაქალაქმა მძლეოსანთა ევროპის ზამთრის ჩემპიონატს უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს ორი წარმომადგენელიც მონაწილეობდა.** ახალციხელმა ენდრიკ ზილბერშტეინმა 400 მეტრი 48.07 წამში დაფარა, რითაც თავისივე საქართველოს რეკორდი გაიმეორა, მაგრამ პარიზში 26 მონაწილეს შორის მხოლოდ მეთვრამეტე აღმოჩნდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კი მასპინძელი ლესლი ჯონი გავიდა.



თბილისელმა ბენიკ აბამიანმა ბირთვის კვრაში მოსინჯა ძალები. მან 17,2 მეტრით 21-ე ადგილი დაიკავა და ჩემპიონატის მხოლოდ ორ მონაწილეს აჯობა. 21,16 მეტრით ოქროს მედალი გერმანელ რალფ ბარტელსს ერგო.

**ლაშა დიდია**

კრივი

# ჰა, რინგი და... მიდი

**13 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში დიდი ორთაბრძოლებია დანიშნული. ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო პროფესიული კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია IBO-ს ვერსიით საშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად გასამართი პაექრობაა.** 22 საათზე ერთმანეთს ქართველი პროფესიონალი მოკრივე ავთანდილ ხურციძე და პოლონელი მარიუშ სენდროვსკი დაუპირისპირდებიან. ასპარეზობის ორგანიზატორები არიან უკრაინელი საპრომოუტერო კომპანია და საქართველოს სპორტის სამინისტრო. „პასუხისმგებლობის გრძნობას ის მიორმაგებს, რომ რინგზე გამოსვლა ქართველი გულშემატკივრების თვალწინ მომიწევს... მეტოქე შესწავლილი მყავს, ძლიერი კონკურენტია, მაგრამ მჯერა, რომ გავიმარჯვებ. ამ ორთაბრძოლისთვის სამი თვეა, ვემზადები და კარგ სპორტულ ფორმაში ვარ“, – თქვა თბილისში ჩამოსულმა ხურციძემ.



როგორც იტყვიან, ჰა, რინგი და მიდი, მიდი...

**ლექსო ცინცაძე**

„ევრო-2012“

# რა დააშავა ჯანომ?!

**როგორც იცით, 26 და 29 მარტს საქართველოს ეროვნული ნაკრები „ევრო-2012“-ის უმნიშვნელოვანეს შეხვედრებს გამართავს ხორვატეთთან (შინ) და ისრაელთან (სტუმრად).**



„ჯვაროსანთა“ თავკაცმა თემურ ქეცბაიამ უკვე გამოაცხადა გამოძახებულთა ვინაობა და, ჰოი საოცრებავ, მათ შორის არ არიან მალხაზ ასათიანი და ჯანო ანანიძე.

თუ უკლუზოდ დარჩენილი, მაგრამ ინდივიდუალური პროგრამით მოვარჯიშე ერთ დროს დაცვის ბურჯზე უარის თქმას ახსნა ასე თუ ისე შეიძლება მოეძებნოს, გამოცანად რჩება მოსკოვის „სპარტაკის“ ჭაბუკი ვუნდერკინდის კანდიდატურის იგნორირება. მაინც, რაშია საქმე? – იბადება კითხვა. ალბათ, ყველაფერი მალე გაირკვევა.



**გთავაზობთ „ქეცბას“ რჩეულთა ნუსხას:**

**მეკარეები** – ლორია, რევიშვილი;

**მცველები** – კალაძე, კაკუბავა, ხიზანიშვილი, კაშია, ხუბუტია, ამისულაშვილი, სალუქვაძე;

**ნახევარმცველები** – გოგუა, დაუშვილი, კანკავა, კვირკველია, მერებაშვილი, გურული, კობიაშვილი;

**თავდამსხმელები** – იაშვილი, სირაძე, დვალიშვილი, ვაწაძე.

**ვიტალი ჯაფარიძე**

რაგბი

# თასების ბედი ვაკეში გადაწყდება

**შარშან რუმინეთის მორაგბეთა ნაკრებმა ბუქარესტში „ბორჯღალოსნებს“ 22:10 სძლია და ევროპის ერთა თასთან ერთად ცხრა წლის წინათ დაწესებული ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის თასიც დაისაკუთრა. და აი, შაბათს რევანშის ჯერი დგება: ქართველი მორაგბეები კარპატელებს ვაკეში, მიხეილ მესხის სტადიონზე დაუხვდებიან.**



ჩვენებურთა და რუმინელთა დაპირისპირება 1998 წელს იღებს სათავეს. მაშინ მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე მეტოქემ „ბორჯღალოსნებს“ 27:23 სძლია დუბლინში. მას შემდეგ მოწინააღმდეგეები კიდევ 12-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. შვიდჯერ რუმინელებმა, ხუთჯერ კი ქართველებმა გაიმარჯვეს. დღეს მასპინძლები წარმატებას თუ მიაღწევენ, თან 4 ლელოსაც თუ გაიტანენ, რაც შეუძლებელი სულაც არ არის, მაშინ ანთიმოზ ივერიელის თასს, მეტოქის მსგავსად, მეხუთედ დაეუფლებიან და ერთა თასსაც დაიბრუნებენ.

საქართველოს ნაკრები სტუმრებს ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდება: ირაკლი აბუსერიძე, ბესიკ ხამაშურიძე, თედო ზიბზიბაძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, ლექსო გუგავა, ბექა ურჯუკაშვილი, გია ლაბაძე, გიორგი ჩხაიძე, ლევან დათუნაშვილი, მამუკა გორგოძე, დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ზვიად მაისურაძე, დავით ზირაქაშვილი, შალვა სუთიაშვილი, გიორგი ნემსაძე, სიმონ მაისურაძე, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჭლენტი, ვატო კოლელიშვილი, ვახტანგ მაისურაძე. მთავარი მწვრთნელი რიჩი დიქსონი (შოტლანდია).

**მატჩი 15 საათზე დაიწყება. დღესვე ითამაშებენ: ესპანეთი – პორტუგალია, უკრაინა – რუსეთი. სატურნირო მდგომარეობა: საქართველო – 14, პორტუგალია – 9, ესპანეთი – 6, რუმინეთი – 5, რუსეთი – 5, უკრაინა – 0 ქულა.**

**გივი გაგუა**

ფეხბურთი

# როცა ერთმანეთს არ ზოგავენ

**რამდენიმე დღის წინათ რუსეთის სუპერთასი კრასნოდარში გათამაშდა, სადაც „ზენიტმა“ უმწვავეს ბრძოლაში ცსკა-ს სძლია – 1:0.**

ეს შეხვედრა ორივე გუნდმა უძლიერესი შემადგენლობით ჩაატარა და ძალების დაზოგვაზე არავის უფიქრია. დაუმატეთ ამას ის, რომ „დერჟავაში“ სეზონი ეს-ესაა დაიწყო და მეტოქენი შორს არიან ოპტიმალური კონდიციებისგან. ჰოდა, ნურავის გაუკვირდება, რომ როგორც ლუჩანო სპალეტის, ისე ლეონიდ სლუცკის შეგირდები ევროპის ლიგის პირველ მერვედფინალურ რაუნდში დამარცხდნენ – მათ სარეაბილიტაციოდ, უბრალოდ, დრო არ ეყოთ.

**გაუწყებთ ამ ეტაპის სასტარტო მატჩების სრულ შედეგებს:**

**„ტვენტე“ – „ზენიტი“ 1:0,**
**ცსკა – „პორტუ“ 0:1,**
**„ეინდჰოვენი“ – „რეინჯერსი“ 0:0,**
**„ლევერკუზენი“ – „ვილიარეალი“ 2:3,**
**„ბენფიკა“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:1,**
**„აიაქსი“ – „სპარტაკი“ 0:1,**
**„ბრაგა“ – „ლივერპული“ 1:0,**
**„დინამო“ (კიევი) – „სიტი“ 2:0.**





ინტერნეტიდან

## ამხანაგური თუ მოლაპარაკებული?!

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფა) დაიწყო სადისციპლინო გამოძიება იმ მსაჯების მიმართ, ბოლივია – ლატვიისა (1:2) და ესტონეთი – ბულგარეთის (2:2) ამხანაგურ მატჩებს რომ ემსახურებოდნენ. ეს შეხვედრები გაიმართა წლევანდელ 9 თებერვალს და ყველა გოლი გაიტანეს პენალტებით. მაშინ პრესა წერდა, რომ ეს ამხანაგური კი არა, მოლაპარაკებული მატჩები იყოო.**

თუმცა ბოლომდე დაზუსტებული არაა, თუ ვინ ემსახურებოდა ამ შეხვედრებს. წინასწარ ოქმებში მითითებული იყო ერთი და იგივე მსაჯთა ბრიგადა – მთავარი მსაჯი კრისტიან სელმეცი, მისი თანაშემწეები იანოშ ჩაკი და კოლოში ლენდელი. თუმცა, ფიფას ცნობით, გამოძიება დაიწყო ექვსი მსაჯის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ მატჩების შემდეგ მოკლე ხანში ფეხბურთის ოთხივე ეროვნულმა ფედერაციამ მსაჯთა პატიოსნებაზე საჩივრით მიმართა ფიფას. იქ ისიცაა აღნიშნული, რომ უნგრელ მსაჯთა ბრიგადას არ ჰქონდა ასეთი მაღალი რანგის საერთაშორისო მატჩის გაძღოლის უფლება. სწორედ ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ დისკვალიფიკაცია გამოუტანა მსაჯთა ბრიგადის სამივე წევრს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ორივე შეხვედრა მოაწყო ტაილანდის სპორტულმა სააგენტომ Footy Sport International. მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი კი რუსი სერგეი პროცენკოა, რომელსაც არ გააჩნია ფიფას ლიცენზია.

როგორც ფიფას თავკაცმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, ასეთ მატჩებს აწყობენ იმისთვის, რომ ფსონებს ჩამოვიდნენ – ანუ ფული გააკეთონ. გერმანული ჟურნალის Stem ცნობით, ესტონეთი-ბულგარეთის მატჩზე ფსონების თანხა 5 მილიონ ევროს აღწევდა.

## მათი გზები გაიყარა

**სლოვაკმა ტოპ-მოდელმა ადრიანა სკლენარიკოვამ ოფიციალურად განაცხადა თავის ქმართან, ფეხბურთში საფრანგეთის ნაკრების ყოფილ ნახევარმცველთან კრისტიან კარამბესთან 15 წლის ცოლქმრობის შემდეგ გაყრის შესახებ. ინიციატორი თავად მოდელი ყოფილა. როგორც მან გაზეთ „Paris-Match“-ს განუცხადა, ის ქმარს არასოდეს ატყუებდა და მან ვერ აიტანა ცხოვრების ის წესი, მისი ქმარი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ რომ ეწეოდა. თითოეული ჩვენგანი საკუთარი გზით წავედითო.**



ცნობილი სლოვაკი სუპერმოდელი ადრიანა დაიბადა 1971 წელს. თავის კარიერაში ის მუშაობდა ბევრ საქვეყნოდ ცნობილ სამოდელო სააგენტოში.

1998 წელს ის შეიტანეს გინესის რეკორდების წიგნის ევროპულ გამოცემაში, როგორც მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფეხების პატრონი. მათი სიგრძე 125 სანტიმეტრია, ხოლო ადრიანას სიმაღლე 185 სანტიმეტრი. იმავე წელს ის ცოლად გაჰყვა კრისტიან კარამბეს, ზედმეტსახელად „გიჟ ცხენს“. ის სწორედ მაშინ გახდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო 2000 წელს საფრანგეთის ნაკრებთან ერთად – ევროპის ჩემპიონი.

# მარად მოუშუშებელი იარა...

## მერი (მარიამ) მიხეილის ასული ჭანტურიას ნათელ ხსოვნას

**დედიკო...** დედიკო... ო, როგორ მიჭირს უშენობა, ო, რა ძალიან მენატრები. ერთი წუთი არ შეგვეძლო უერთმანეთოდ. 15 მარტს ერთი წელი შესრულდება, რაც არ გვინახავს ერთმანეთი. საკვირველია, 365 დღე როგორ გავძელი უშენოდ. ოი, როგორ ენატრები ყველას დედა, თბილისელ თუ აბაშელ მეზობლებს, ჩემს სამეგობროს, ნათესავ-ახლობლებს, განსაკუთრებით შენს გაზრდილ შვილიშვილებს ედუარდს და გიორგის.

დედა ჩემი დიდი იმედი ხარო, რომ მეტყოდი, ჩემთვისაც ხომ ყველაფერი იყავი – დედაც, მამაც, დაც, ძმაც, მეგობარიც, იმედიც, დიდი საყრდენიც. ჩემო უთბილესო და უტკბილესო. რა მეშველება უშენოდ, ჩემო იმედო, ჩემო საძირკველო, ჩემო ფუძევ, ო, რა უცებ გამოგვეცალე ორ დღეში. როგორ გავძლო უშენოდ. ჩვენ ხომ დაბადებიდან შენს გარდაცვალებამდე ერთად მოვდიოდით. მე და შენ ერთ ლოგინში გვეძინა, დედა. თოთო ბავშვივით გულში ჩავიკრავდით ერთმანეთს, უდიდესი სიყვარული გვაკავშირებდა, ტყუპისცალივით ვიყავით, ამიტომაც მიჭირს ასე ძალიან, დედა. ადრე მეგონა, შენ და ჩემი შვილები ედუარდი და გიორგი ერთნაირად მიყვარდით, მაგრამ თურმე შვილებზე მეტადაც მყვარებიხარ, დედი. ეს რა დიდი ძალა ჰქონია დედისადმი სიყვარულს, დედა. სახლში ყველა ნივთი თავის ადგილზეა. თვალებით ვხედავ, რომ ეს ასეა, ცნობიერებაში კი ყველაფერი დაცარიელებული მეჩვენება, დედიკო.

დედა... დედა... ჩემო დედუჩია... რა გასაკვირია, მე რომ ასე მეჩვენებოდეს, დედა, მაშინ, როცა თბილისელი მეზობლებიც, რომელთაგან ზოგიერთის მოსაგონარს აქვე წაიკითხავს მკითხველი, იგივეს მეუბნებიან. ცისანა დეიდამ მითხრა – „დედაშენის გარეშე ვერ წარმომიდგენიაო, სიცარიელე მაქვსო, ის ჩვენთვის, მეზობლებისთვისაც დიდი იმედი იყოო". ომარ ჭელიძემ მითხრა: – „შენ მართლაც რომ კარგი დედა დაკარგე, მაგრამ ჩვენ, მეზობლებმაც, დედაშენის სახით ძვირფასი ადამიანი, კარგი მეზობელი დავკარგეთო". ასე მეუბნებიან სხვა მეზობლებიც: გულო, ლეილა, სვეტლანა, მანანა... შენ ყველა მიგტირის, დედა, ყველას ენატრები, ყველა სიყვარულით და კრძალვით გიგონებს. ჰოდა, ასეთი დედის გარეშე როგორ უნდა გავძლო, დედა. ოი, როგორ მენატრები... ტკივილიანი გული დამაქვს, გული ცრემლით და მწუხარებით სავსე.



სახლიდან გასვლის წინ დაგვლოცავდი მე და ჩემს შვილებს, შენს გაზრდილ ვაჟკაცებს. სამსახურიდან შინ დაბრუნებულს, კარს რომ გავაღებდი, – „მოხვედი შვილო, შენ შემოგევლოს შენი დედა", – მეტყოდი, ხან კართან მხვდებოდი, ხან ფანჯრიდან მიყურებდი. ვაი, რა გაუსაძლისი გახდა ჩემი სიცოცხლე უშენოდ, დედიკო. ფასდაუდებელი იყავი ჩვენთვის, შენი ოჯახისათვის ჩვენო ძვირფასო, კეთილშობილო, სპეტაკო, ღირსეულო, საამაყო და სასიქადულო დედავ და ბებიავ.

ღირსეულ დედასა და მოამაგე ბებიას დღეს საქვეყნოდ მინდა გითხრა მადლობა იმ დიდი ღვაწლისთვის, იმ დიდი ამაგისთვის, რაც შენ მე და ჩემს ვაჟივილებს დასდე და არა მარტო ჩვენ, შენს ძმისშვილებს, ყველას, ყველას, ვისთვისაც კი ხელი მიგიწვდებოდა. შენი გაზრდილი ძმისშვილი, დედა-მამა, ძმები – ხუთი ადამიანი ხელში ჩაგაკვდა. ეჰ, რამდენ ტკივილს გაუძელ, ჩემო ამაღლებული სულის მქონე დედავ. საოცარია, ამდენი ჭირგამოვლილი როგორ ახერხებდი, ისეთი დიდი სითბო და სიყვარული გაგეცა ყველასათვის, რისთვისაც ყველა მიგტირის, დიდი თუ პატარა, ნათესავი თუ მეზობელი, ახლობლები თუ ჩემი სამეგობრო.

სახლში თუ სამსახურში, შინ თუ გარეთ წუთითაც არ მშორდება შენზე ფიქრები, ალბათ შენი სულიც გრძნობს, რომ ხორციელად ვერა, მაგრამ სულიერად ისევ შენთან ვარ, დედა, ჩემო ხორცისა და სულის ნაწილო, ჩემო გულის ფეთქვავ, ჩემო ამოსუნთქვავ. სანამ პირში სული მიდგას, ღვთის შეწევნით სიცოცხლის ბოლო წუთამდე შენი სულის ცხონებისთვის სულ ვილოცებ, დედა. ჩემი ამდენი წუხილითა და ცრემლებით თუ გაწუხებ, მაპატიე, დედა. ო, რა სულისშემძვრელად მენატრები, დედიკო!

წმიდაო სამებავ, დედაო ღვთისავ, წმიდა ზეციურო ძალებო! გევედრებით, დიდხანს ჯანმრთელად მიმყოფეთ და გამიმრავლეთ ჩემი შვილები. ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ჩემი დედის სულს გთხოვთ, შეუნდოთ ცოდვები, მისცეთ შვება და სიხარული, გემუდარებით, მიცხონეთ ჩემი დედა!

**დედა-შვილი, შვილი-დედა,**
**ერთმანეთის მშვენია,**
**მათი უთბილესი გრძნობა უფალს**
**გაუჩენია,**
**დავრწმუნდი რომ ამაოა ამა სოფლის**
**ცხოვრება,**
**ქვეყანაზე უმთავრესი არის**
**სულის ცხონება.**

**ნანული (ნანა) გუნია,**
დედის ნახვას მონატრებული დედისერთა.

---

**არსებობს სიტყვები,** მიმართვის წესი, რითაც შეიძლება მოგმართოთ თქვენ, ყველასთვის დიდო მასწავლებელო, ზრდილობიანობის, კულტურის, სიფაქიზის, სიყვარულის, თავმდაბლობისა და თავაზიანობის განსახიერებავ? ამ ყველაფერს უთქმელად ლაპარაკობდა თქვენი დიდსულოვანი სახის გამომეტყველება, ეს ყველაფერი თქვენს სიტყვებსა და ქცევებში გამოიხატებოდა. ამ ყველაფრის თავი და თავი ალბათ იყო ის, რომ თქვენ გაგზარდათ დიდი კულტურის მქონე ჭანტურიების ოჯახმა. განა ტყუილად არის ნათქვამი „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო!"

თქვენ ჯერ კიდევ პატარა გოგო, დარჩით რამდენიმე თვის ბავშვით ხელში. თქვენს ობლობაში გაზრდილ გოგონას ობლობა არ უგრძვნია და მთელი ცხოვრება იარეთ პატიოსნად, ქართული წესით. ეს ბავშვი იყო სწორედ თქვენი დიდი სიყვარული და სიმდიდრე, რომელიც მარტომ აღზარდეთ და რომელიც დღეს პროფესორი და აღმზრდელია – ნანა გუნია, რომელსაც ჰყავს ორი ძვირფასი ვაჟიშვილი ედუარდი და გიორგი.

თქვენ მათ აღზრდაში და ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანეთ, ამიტომ არიან ისინი მისაბაძი ყველგან და ყველაფერში. თავი და თავი თქვენი დიდი ღვაწლია. თქვენს ერთადერთ შვილს, ქალბატონ ნანა გუნიას და მის ორ ვაჟს – ედუარდს და გიორგის ზუსტად ეტყობათ, ვის ხელში და რა ოჯახში აღიზარდნენ.

მეამაყება, რომ თქვენს სიახლოვეში ვიყავი და ვცხოვრობდი, რადგან თქვენგან დიდი, საოცარი დარიგებები და ქცევის წესები მიმიღია და მისწავლია. ასევე ბედნიერია ყველა, ვისაც თქვენთან ერთხელ მაინც შეხვედრა და სიახლოვე ჰქონია. ის სამუდამოდ ადამიანად დარჩება.

მინდა, დიდი პატივი მივაგო თქვენს ნათელ ხსოვნას, ჩემთვის მარად საყვარელო, შეუფასებელო, ყველასათვის მისაბაძო, ძვირფასზე ძვირფასო ქალბატონო მერი. თქვენი სახელი მარად იქნება ჩემს გულში.

სინანულით გიხსენებთ პატივცემულო და დიდებულო ქალბატონო მერი, შესანიშნავი შვილისა და შვილიშვილების აღმზრდელო, სასიქადულო დედავ და მოამაგე ბებიავ, სპეტაკი სულის ადამიანო.

ღმერთმა დალოცოს თქვენი შვილი და შვილიშვილები, ღმერთმა გაგიმრავლოთ ედუარდი და გიორგი.

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური აბაშის მიწა, ღმერთმა ნათელში გამყოფოთ.

**კლარა სიხარულიძე**

* * *

**თავზარდამცემი** და მოულოდნელი იყო ჩემთვის შენი გარდაცვალება...

როგორ მინდოდა, მოვსულყავი შენთან, მესაუბრა, მოგფერებოდი... ვერ მოვასწარი... და ალბათ ისე მოვკვდები, ამ სინანულს ვერაფერი შემიმსუბუქებს...

ვტირი...

რთული და მძიმე იყო შენი ცხოვრების გზა: თავდაუზოგავი შრომა შინ თუ გარეთ, შვილისა და შვილიშვილების გაზრდა, მათი ფეხზე დაყენება...

ყველაფერი მოასწარი, იყავი არნახული მეოჯახე, უზადო დიასახლისი, სამაგალითო დედა და ბებია...

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ შენ ცხოვრების მძიმე ტვირთმა ვერ გაგაბოროტა: გიყვარდა ადამიანები, ყველას თანაუგრძნობდი, ყველასთვის კარგი გინდოდა, ყველას სიკეთე გიხაროდა...

ჩვენც ძალიან გვიყვარდი და სულ გვეხსომები კეთილშობილო და ჭკვიანო ქალბატონო!

დიდი მადლობა აბაშას, საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეს, რომელმაც შვა და აღზარდა ყველასათვის პატივსაცემი ადამიანი და, ბოლოს ღირსეულად გააცილა ის უკანასკნელ გზაზე.

მშვიდობით, ჩემო კარგო მერი, არასოდეს დამავიწყდები. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ღირსეულო ქართველო ქალო.

**ცისანა ხაბულიანი**

* * *

**ქალბატონო მერი!** ჩვენ მრავალი ათეული წლის ნაცნობმეგობრობა არ გვაკავშირებდა, მაგრამ ის მცირე დროც, რომელმაც თქვენი გაცნობით ამდენი სიამოვნება, სიხარული და ბედნიერება მომანიჭა, სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ეს მოგონებები მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვეს.

როდესაც პირველად თქვენს საუბარს მოვუსმინე, გაოცებული დავრჩი თქვენი აზროვნებით, სიბრძნით, თქვენი წარსულით და მომავლის იმედით, თქვენით მოხიბლული არ მინდოდა დიდხანს შემეწუხებინეთ, რადგან იმ დროს თავს კარგად არ გრძნობდით, ფეხი გქონდათ მოტეხილი და იწექით. იმ საღამოს დიდხანს ვფიქრობდი, ვაანალიზებდი თქვენს ბევრ საინტერესო ნაამბობს და ვფიქრობდი – რა ბედნიერი ვარ, რომ ჩემს თაობაში ცოცხლობს და ცხოვრობს ასეთი უფლისმოყვარე ქართველი ბრძენი ქალბატონი მერი ჭანტურია.

ქალბატონო მერი, სულ არ მიკვირს, რომ თქვენ გაზარდეთ ნიჭიერი, ღმერთის მოყვარული, დიდი ქველმოქმედი შვილი ქალბატონი ნანა გუნია და მისი არაჩვეულებრივი ვაჟები ედუარდი და გიორგი.

ნათქვამია, „კარგ ფესვზე, კარგი ყლორტები ამოდისო" და ეს მართლაც ასეა.

ქალბატონო მერი თქვენმა გარდაცვალებამ გული მატკინა.

დარწმუნებული ვარ, თქვენ სამოთხეში გაქვთ დამკვიდრებული ადგილი.

ნათელში ამყოფოს თქვენი სათნო სული უფალმა!

**ჟუჟუნა მაღრაძე**

* * *

წელიწადი მოდის შენთან სევდიანი განშორების, მონატრების, ცრემლიანი მოგონებებისა და უშენობით დაწყებული გულისტკივილისა. ძალიან მენატრები, ჩემო ტკბილო, შეძენილო ბებო, მაგრამ შენ ისევ ბინადრობ ჩემს გულში და გვათბობ კეთილი მოგონებებით. ყოველთვის ვილოცებ შენთვის, რათა უფალმა მოგანიჭოს სიმშვიდე...

მიყვარხარ ძალიან. მენატრები უსაზღვროდ და გიხსენებ უსასრულოდ, ჩემო კეთილო და ტკბილო ბებო.

ბებო, აუცილებლად ისე მოვიქცევი და იმას გავაკეთებ, რაც ანდერძივით დამიბარე. სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება შენი სიტყვები და სითბო, რომელსაც ჩემს მიმართ იჩენდი.

ძალიან, ძალიან, მენატრები... არასოდეს დაგივიწყებ, ჩემო ტკბილო ბებო.

მარად შენი
**მაია ხორგუანი**

* * *

**ქალბატონ** მერიზე ბევრი რამ მქონდა გაგონილი, მაგრამ გარკვეულ პერიოდამდე პირადად არ ვიცნობდი. ახლა ვიხსენებ და თვალზე ცრემლი მადგება. მაღალი, ზედმიწევნით ქართული იერი, სასიამოვნო ხმის ტემბრი, ლოგიკურად გამართული საუბარი, სათნო, სიკეთით სავსე და ფაქიზი სულის მქონე ადამიანი – ასეთი იყო მასზე ჩემი პირველი შთაბეჭდილება და დღემდე არ შეცვლილა.

ჩვენ ერთმანეთს პირველად ეზოში შევხვდით. გავშვებს ვასეირნებდით, გამოველაპარაკეთ ერთმანეთს და მაშინვე გაიღვიძა ჩემში მისდამი დიდმა სიმპათიამ და დედაშვილურმა გრძნობამ. მოვიხიბლე მისი ინტელექტითა და არაბუნებრივი კაცთმოყვარეობით.

იმ დროს, როდესაც მთელი ქალაქი ჩაბნელებული იყო, უსინათლობის გამო ლიფტიც არ მუშაობდა და ხშირად გვიწევდა ფეხით სიარული მაღალ სართულებზე, მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო ჩვენთვის – „დაისვენე დედა", გვეპატიჟებოდა ზედა სართულზე მცხოვრებლებს და მისთვის ჩვეული გულუხვობით გვიმასპინძლდებოდა. იგი იყო ღვთისმოშიში და მოყვარული ადამიანი, რომელიც სიკეთეს უხვად თესავდა, გაჭირვებულისათვის შველა, დახმარება ჰობად ჰქონდა ქცეული და ყველა ადამიანი მადლიერი ჰყავდა. იგი იყო შესანიშნავი დედა, ბებია, მეგობარი და კარგი მეზობელი.

ქალბატონი მერი მთელი სიცოცხლე სიკეთეს თესავდა. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ერთი კაციც არ ჰყოლია უმადური, მართლაც ღირსეული ქალი გახლდათ, ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

**ლალი ზანგალაძე-ჩაჩანიძისა**

* * *

**ჩვენს** მრავალბინიან სახლში მეზობელი ქალბატონი გარდაგვეცვალა. თითქოს ორდინალური მოვლენაა ხანშიშესული ადამიანის ზეციურ სასუფეველში გადასვლა, ერთი გარემოება რომ არა. ქალბატონი მერი მთელი სახლის საყვარელი პიროვნება იყო. მას გულთან ახლოს მიჰქონდა გარემომცველთა სიხარული და გაჭირვება, სიკეთე და სიძნელეები. ის იყო თავისი მშვენიერი, ტრადიციული და ღვთისმოსავი ოჯახის ჭეშმარიტად ღირსეული წინამძღოლი, შესანიშნავი დედა და შესანიშნავი ბებია.

მინდა ვანუგეშო ქალბატონ მერის დანატოვარი ქალიშვილი ნანა და შვილიშვილები ედუარდი და გიორგი და ვუთხრა მათ, რომ ეს მშვენიერი ღვთისმოსავი ქალბატონი მათთან ერთად ჩვენს სამეზობლოსაც დიდად დაგვაკლდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი მერის სული.

**ომარ ჭელიძე**

* * *

**ქალბატონო მერი!** კეთილო, კარგო და მიმტევებელო, მთელ სამეზობლოში გამორჩეულო, საყვარელო ქალბატონო. წარმოგვიდგენია, რა ძნელია ასეთი დიდი დანაკლისი თქვენი ოჯახისათვის. თქვენ დატოვეთ კვალი ნათელი სიკეთისა და პატიოსნებისა. თქვენს საფლავს არასოდეს მოაკლდება ყვავილები და წმინდა სანთლები თქვენი ერთადერთი ქალიშვილისა და შვილიშვილებისგან.

ნათელში გამყოფოთ და სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა.

**თამრიკო გიორგობიანი, ოთარ ილურიძე**

**შვილი ნანული (ნანა) გუნია, შვილიშვილები ედუარდი და გიორგი, რძალი ნინო ჯანჯღავა, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ 2011 წლის 15 მარტს, 15 საათზე გაიმართება**
**მერი (მარიამ) მიხეილის ასული ჭანტურიას**
**სამოქალაქო პანაშვიდი აბაშის რაიონის სოფელ მაცხოვრისკარის სასაფლაოზე.**

№ 46. შაბათი, 12 მარტი, 2011 წელი.

## ◉ კონკურსი

# ვინ მოიპოვებს დავით ალმაშენებლის პრემიას?

**საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალმა სასტუმრო „ამბასადორში“ პრესკონფერენცია გამართა და დავით ალმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის 2011-2012 წლის კონკურსი გამოაცხადა. პრესკონფერენციას დაესწრნენ 2010 და 2011 წლების კონკურსების ლაურეატები, საკონკურსო კომისიის წევრები და რეცენზენტები.**

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორმა **ნანა ჯაფარიძემ** აღნიშნა, რომ კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნას არანაკლებ 5 ნაბეჭდი გვერდის ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოები, რომელიც აუცილებლად ისტორიულ თემაზე უნდა იყოს შექმნილი. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკუთარი ნაწარმოები 7 დეკემბრამდე უნდა ჩააბარონ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის საქართველოს ფილიალის ოფისს (გრიბოედოვის ქ. 3ძ.

პრემიის დამფუძნებელია საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი და მისი პრეზიდენტი **ალექსანდრე ებრალიძე**. ნანა ჯაფარიძის თქმით, კონკურსის მიზანია: საზოგადოებრივი ინტერესის გაღრმავება საქართველოს ისტორიისა და ისტორიულ თემაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებებისადმი; ახალგაზრდების პატრიოტული აღზრდა; ისტორიულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების ავტორთა წახალისება; ნამდვილი, ჭეშმარიტი ისტორიის გამომზეურება, და არა — კონკრეტული დროისთვის მისადაგებული ისტორიისა; ახალგაზრდების სტიმულირება.

ნანა ჯაფარიძემ ლაურეატებს, საკონკურსო კომისიის წევრებს, რეცენზენტებს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის.

— სამწუხაროდ, პირველი ხარისხის პრემიის ერთ-ერთი პირველი ლაურეატი, ბატონი ნოდარ წულეისკირი კვლავ ვერ ახერხებს ჩვენთან ყოფნას. მინდა, რომ გაზაფხულზე შევიკრიბოთ, ჩავაკითხოთ, მადლობა გადავუხადოთ ქართული მოთხრობის დიდოსტატსა და ჩვენი ერის პატიოსნებას.

— დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია ქართული კულტურის მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია, — აღნიშნა პოეტმა **ბალათერ არაბულმა**, — ამ პრემიის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი სრულიად უსაფუძვლოა. იგი არც პუტინს დაუარსებია და არც მედვედევს. ამ პრემიის დამფუძნებელი არის ქართველი კაცი, ალექსანდრე ებრალიძე, რომელსაც უნდა, რომ ქართულ კულტურასა და მეცნიერებას ხელი შეუწყოს. ყველას მივესალმები, ვისაც ასეთი კეთილშობილური მიზანი ექნება.



პრემიას ახალ-ახალი გამარჯვებები ელის, და მალე პოლიტიკოსებიც მიხვდებიან, რომ მართლაც, ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებისთვის დიდი საქმე კეთდება.

კომისიის წევრმა **ნუნუ დალაქიშვილმა** აღნიშნა, რომ კონკურსი ყველა შემოქმედსა და მეცნიერს საშუალებას აძლევს, მათი შრომა დაფასდეს.

დავით ალმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცემათ ყოველწლიურად, 8 თებერვალს, წმინდა დავით ალმაშენებლის ხსენების დღეს.

პრესკონფერენციის შემდეგ მასპინძლებმა სტუმრები მეგობრულ ვახშამზე მიიპატიჟეს. ვახშმისას საშუალება მომეცა კითხვით მიმემართა ნანა ჯაფარიძისთვის, რომლის წინააღმდეგაც ამ ბოლო დროს პუბლიცისტი თემურ მირიანაშვილი სხვადასხვა სახის ბრალდებებს გამოთქვამს. ჩვენ მას ვკითხეთ, აპირებს თუ არა იგი მირიანაშვილისთვის სასამართლოში ჩივილს.

— მირიანაშვილისთვის სხვისი ლანძღვა და ცილისწამება ჩვეული ხელობა ყოფილა. თავის დროზე უხეში შეურაცხყოფა მიაყენა ქართული ფეხბურთის უდიდეს მოამაგეს, აწ განსვენებულ ნოდარ ახალკაცს, მოგვიანებით პრესის ფურცლებიდან ასევე ჩირქი მოსცხო ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ნოდარ ნათაძეს, გააფთრებით ესხმოდა თავს ზვიად გამსახურდიას და მის მომხრეებს, შევარდნაძის დროინდელი მთავრობის სხდომაზე შეურაცხყოფა მიაყენა მიხეილ სააკაშვილს. არავის მისთვის არ უჩივლია, არც მე ვაპირებ ვიყო გამონაკლისი, თუმცა თავდაპირველად ასეთი სურვილი გამიჩნდა — გვიპასუხა ნ. ჯაფარიძემ..

**ნატა ნიბლაძე**

## ◉ ვაიმე, ენავ!

რუბრიკას უძღვება **მურმან თავდიშვილი**

**6 მარტს, 23 საათზე, „რტვ“-ის ტელევიზიამ მოაწყო საგანგებო გადაცემა. ბჭობდნენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებზე. მთავარი მოსაუბრე გახლდათ ქალბატონი ჩიორა თაქთაქიშვილი.**

ხელისუფლების წარმომადგენლების ქართული რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ეს მკითხველმა მშვენივრად იცის. იმათ შორის ქალბატონი ჩიორა უკანასკნელი როდია, მაგრამ, რაც ლიძ“; **ქვეყანა გადარჩენილიყო დაპირისპირებასაო;** „გადარჩენილიყო“ კი არა, „გადარჩენოდა“; რომელიღაც სახელმწიფოზე გამოიყენა ჰოკეის მეკარესავით უმწეო და უგერგილო ფრაზა: **„ქვეყანა არის 5 მილიონი ამომრჩეველით“;** ჯერ ერთი, სწორია „ამომრჩევლით“. სიტყვა იკუმშება; მეორეც, წინადადება გაუმართავია. უნდა ყოფილიყო: „ქვეყანაში 5 მილიონი ამომრჩეველია“; **„დაზუსტება იქნა შეტანილიო“.** რა საჭიროა სამი სიტყვა,

# ჩიორამ მოიჩიორა

## ანუ უწერტილო კითხვის ნიშანი

იმ საღამოს ჩიორამ მოიჩიორა, ერთობ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს.

რა თქმა უნდა, აქ სულ არ ყოფილა მხედველობაში მიღებული ის გარემოება, რომ გადაცემას ათასობით მაყურებელი ჰყავს, მათ შორის ახალგაზრდებიც, და გამომსვლელმა ესეც უნდა გაითვალისწინოს. ამგვარი გადაცემის დროს ის ხომ, ამავე დროს, მშობლიური ენის წეს-კანონთა ერთგვარი ილუსტრატორიც გახლავთ. სულ სხვაა საგანგებო სპეციალისტთა მცირე აუდიტორია, სადაც აქტუალური პრობლემის ირგვლივ ცხარე კამათია გაშლილი და სულ სხვა — სატელევიზიო გამოსვლა.

ქალბატონის ნაუბრიდან ზოგი „მარგალიტი“ და მაგალითი ამოვიწერე.

**„განსხვავებული მოსაზრებები იქნა დაფიქსირებული“,** — ბრძანა ორატორმა. ქართულად ასე იქნებოდა: „განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს (იქნა გამოთქმული“). როცა აზრი შეიძლება გამოიხატოს ერთით — „დააზუსტეს“.

ჩვენი ჩიორა ვერ მორევია ვერც რუსულ კალკებს. ასე იუბნა: **„გამოიხატა ძალიან კონკრეტულ შედეგში“.** უნდა ეთქვა: „გამოიხატა შედეგით“. რითი გამოიხატა და არა რაში გამოიხატა; ასევე აბსურდულ-დაბურდულია: **„ძალიან მოკლე დროის ვადაში“.** ნამეტნავად არ ვარგა „დროის ვადაში“; **„აყვანილი იქნა ათი ათასი თანამშრომელი ამ მიზნისათვის“.** ბუნებრივი ქართული ასეთ სახეს მიიღებდა: ამ მიზნით ათი ათასი თანამშრომელი აიყვანეს. რა თქმა უნდა, რუსულ ყაიდაზეა აგებული ეს ბუნდოვანი წინადადებაც: **„განსაზღვრული არის ჩვენს ადგილობრივ კონტექსტთან შედარებაში“;** რუსთა და ყოველივე რუსულის მოძულე ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელი კვლავ და კვლავ ვერ შეშვებია რუსულ სამეტყველებო კონსტრუქციას: **„გამოიხატა ხარისხში“, „პირველ რიგში“.** მას ვერ გაურკვევია, რომ ესენი რუსულის კალკებია.

ნაცვლად იმისა, რომ ადამიანურად და ქართულად გვითხრან: „ვერ ჩამოვთვლი“, „ჩამოთვლა გამიჭირდება“, „ჩამოთვლასაც ვერ შევძლებ“, გვაწვდიან ასეთ ჩიქორთულს: **„ჩამონათვალის გაკეთებას ვერ შევძლებ“;** ნაცვლად იმისა, რომ გვითხრან: „მათ მიმართ ნდობა გაგვიძლიერდა“, ან კიდევ: „ისინი უფრო სანდო გახდნენ“, „ასე გვემეტყველებიან: **„მათ მიმართ ნდობა იყო გაუმჯობესებული“.** ისე გამოდის, თითქოს ნდობის გაუმჯობესება ჩვენს სურვილზე იყოს დამოკიდებული და არა იმაზე, ვინც ამ ნდობას იმსახურებს; ნაცვლად ქართული და მშვენიერი „დასაბუთებულისა“ თვალში გვჩრიან უცხოურ „არგუმენტირებულს“.

საქმე ისე მიდის, მალე, ნაცვლად სიტყვებისა „ლობიო უნდა შეგვეჭამა“, გვათქმევინებენ თურქულ ყაიდაზე აგებულ წინადადებას: „ლობიოს ჭამა გვქონდა გასაკეთებელი“. ქალბატონმა სწორედ ამდაგვარად ბრძანა: **„დათვლები გვქონდა გასაკეთებელი“.** ქართულის მცირედ მცოდნე აქ ასე იტყოდა: „უნდა დაგვეთვალა (უნდა მოგვეთვალაძ“; ამავე რიგისაა: **„გააკეთებს კონკრეტულ შეთავაზებას“;** ითქვა ესეც: „არის მაქსიმალური გახსნილობა“. საერთოდ, „გახსნილობა“ მეტად „ნაყვარება“ ჩვენს ორატორს: **„ჩვენ გახსნილი ვართ ყველა პარტიასთან თანამშრომლობისთვის“.**

მე განსაკუთრებით მენიაზა ჩიორას ნაჩიორები: **„წერტილს დაუსვამს კითხვის ნიშნებს“.**

ქალბატონო ჩიორა, ერთი ეს მიბრძანეთ: სად ნახეთ უწერტილო კითხვის ნიშანი?!

## ◉ ხსოვნა გულისა


ღმერთმა დალოცოს გაზეთ „თანადგომის“ გამომცემელნი და მკითხველნი.
თანადგომა
სიკვდილის გზა არსა არის ვერდისვერ გზის გარდა...
12 მარტი, 2011 წ. • საზოგადოებრივი საინფორმაციო გაზეთი * გამოდის 2001 წლიდან • სპეციალური გამოშვება
გივი მინდელი
სინათლით სავსე კაცი

# „თანადგომა“ გივი მინდელს გვახსენებს

**კიდევ ერთი ღირსეული კაცი — გივი მინდელი გამოგვეცალა და, რა გასაკვირია, რომ ანზორ ბაბუხადიამ — ცნობილმა ეკონომისტმა, სამაგალითო მამულიშვილმა და გაზეთ „თანადგომის“ გამომცემელმა-რედაქტორმა გაზეთის სპეციალური ნომერი სწორედ ბატონი გივი მინდელის ხსოვნას მიუძღვნა.**

**უკვე ორმოცი დღე გასულა ამ შესანიშნავი ქართველის გარდაცვალებიდან და გაზეთ „თანადგომაში“ ჩვენი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები — ჯანსულ ჩარკვიანი, ავთანდილ საყვარელიძე, ედუარდ გერსამია, რევაზ თევზაძე, გოგოთურ აგლაძე, ჯიმი მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, თამაზ ცინცაძე, ირაკლი ქორდანია, თამაზ შილაკაძე, იური მეიშვილი, რომ იტყვიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან ბატონი გივის პორტრეტის ხატვაში — მისი პროფესიონალიზმის, კაცურკაცობის წარმოჩენაში... რას ვიზამთ, თაობა მიდის, გვრჩება ნაღველი და სევდა, თუმცა იმედიც იმისა, რომ გივი მინდელისთანა ადამიანები პირნათელი მიეახლებიან თავიანთ წინაპრებს... ბატონი გივი უკვე თავის მამა-პაპასთანაა — ვალმოხდილი, დამშვრალი...**

**ნათელში ამყოფოს მისი სული ღმერთმა!..**

## ◉ ინფორმაცია

### ნაპოვნია შოპენის უკანასკნელი ფოტო

**პოლონელი ფოტოგრაფი და გალერისტი ქალაქ გდანსკიდან ვლადისლავ ჟუხოვსკი აცხადებს, რომ მან ფრედერიკ შოპენის სიკვდილის შემდგომი ფოტო აღმოაჩინა. დაგეროტიპის (ვერცხლის ფორფიტაზე გადაღებული ფოტო) ფოტო, რომლის ავტორიც, სავარაუდოდ, ლუი-ოგიუსტ ბისონია, ჟუხოვსკიმ ერთ-ერთი შოტლანდიელისგან შეიძინა.**



**1849 წლით დათარიღებულ ფოტოსურათზე ცნობილი კომპოზიტორი სასიკვდილო სარეცელზეა აღბეჭდილი. ვარშავაში შოპენის მუზეუმის წარმომადგენელი ფოტოსურათის უტყუარობას უშუალოდ ნახვის გარეშე ვერ ადასტურებს.**

**თუკი ფოტოსურათის რეალურობა დადასტურდება, პოლონელი გალერისტის აღმოჩენა სენსაციურად მიიჩნევა. დღემდე მსოფლიოში შოპენის მხოლოდ ორი ფოტოა ცნობილი. ამასთან, ორივე ცნობილ კომპოზიტორს მის სიცოცხლეში გადაუღეს. ერთ-ერთის ავტორი ზემოხსენებული ლუი-ოგიუსტ ბისონია, რომელიც, ასევე, 1849 წელსაა გადაღებული.**

**შოპენის ფოტოს რეალურობის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცნობილი კომპოზიტორის გარდაცვალებამ საფრანგეთს ხელოვანთა სამყაროში დიდი რეზონანსი გამოიწვია. მისი აღსასრულის შემდეგ, ასევე, ცნობილმა მოქანდაკემ ოგიუსტ კლეზინჟემ, რომელსაც პერ-ლაშეზის სასაფლაოზე შოპენის საფლავის ქანდაკება ეკუთვნის, შოპენის სიკვდილის შემდგომი ნიღაბი დაამზადა. ამდენად, იმ დროისთვის საკმაოდ სახელგანთქმულ ფოტოგრაფ ბისონს თავისუფლად შეეძლო შოპენის უკანასკნელი ფოტოს გადაღება.**

### მთვარის სიახლოვე სტიქიურ უბედურებას გვიქადის

**ასტროფიზიკის დარგში დასავლელმა სპეციალისტებმა შეძლეს განესაზღვრათ, რომ ზუსტად 19 მარტს მთვარესა და დედამიწას შორის სიშორე უკანასკნელი 19 წლის განმავლობაში მაქსიმალურად მცირე იქნება და დაახლოებით 356 ათას კილომეტრს მიაღწევს.**

**ასტროფიზიკოსები დარწმუნებული არიან, რომ მთვარისა და დედამიწის მაქსიმალური დაახლოება დედამიწის მკვიდრთ კარგს არაფერს მოუტანს. ანალოგიური მოვლენები დაფიქსირდა 1955, 1974, 1992 და 2005 წლებშიც, რაც ბუნების კატაკლიზმებით აღინიშნა. სწორედ ამ პერიოდში დაემუქრა დედამიწას არაერთი ძლიერი მიწისძვრა, დამანგრეველი ციკლონი თუ ცუნამი.**

მედიანიუსი

ბორის ბარსუკოვი, გივი აბდუშელიშვილი, რამინ ქეცბაია, თამაზ ქოიავა, რეზო მიქაბერიძე, თენგიზ უჩანეიშვილი, ოთარ ბასილაშვილი, შალვა ცაგარეიშვილი, გოგი ფოფხაძე, ჯემალ ზამბახიძე, ვახტანგ ლომიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის, შესანიშნავი პიროვნების, ღირსეული მამულიშვილის

ბეგლარ მახარაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სულიერება



# მართლმადიდებლობის ზეიმი

**13 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს დღესასწაულობს მართლმადიდებელთა ზეიმს.**

...ცნობილია, რომ VIII საუკუნეში, ბიზანტიის სახელმწიფოს გაძლიერების ჟამს, წარმოიშვა მის წიაღში ახალი ერესი – ხატმებრძოლობა, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე მძვინვარებდა...

იოანე დამასკელმა ხატმებრძოლობის საწინააღმდეგოდ ხატსა და მის თაყვანისცემაზე მართლმადიდებლური სწავლება ჩამოაყალიბა.

842 წელს მოიწვიეს კრება. მისი აქტები ეფუძნებოდა მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებებს. ადგილობრივმა კრებამ ხატმებრძოლობა დაგმო, ხატთა თაყვანისცემა აღადგინა და მართლმადიდებლობის ზეიმი გამოაცხადა, რომელსაც, იმ დღიდან მოყოლებული, მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ წელიწადს, დიდი მარხვის პირველ კვირას დღესასწაულობს.

მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას ხილული ნიშნები – სასწაულებიც მოწმობენ; მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა მაცხოვრის საფლავზე, ნათლისღების დღესასწაული, ფერისცვალების დღესასწაულზე – როცა მოწმენდილ ცაზე აუცილებლად გამოჩნდება ღრუბელი თაბორის მთაზე.

**გიული ლიპარტია**

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● ფრანგმა ქიმიკოსმა ჟოზეფ ლუი გეი-ლუსაკმა ავსტრია-უნგრეთში ცდებისთვის თხელმინიანი ჭურჭელი შეიძინა. მეგობარმა მეცნიერმა ჰუმბოლდტმა ურჩია, ჭურჭელი ცარიელი, მაგრამ თავდახურული წაეღო, თორემ დიდ ბაჟს გადაახდევინებდნენ. ცნობილმა ქიმიკოსმა ჭურჭელი მართლაც უგადასახადოდ გაიტანა საზღვარზე – მებაჟეებს განუცხადა, რომ მიჰქონდა ჰაერი, ხოლო ჭურჭელსა და ჰაერზე გადასახადი კანონით არ იყო დაწესებული.**

**● 1914 წლის საომარი მოქმედებისას, პირველი მსოფლიო ომის დროს, დასავლეთის ფრონტმა შეწყვიტა სროლა და საშობაო სიმღერა შემოსძახა, დილით გერმანელი და ბრიტანელი ჯარისკაცები საჩუქრებსაც კი ურიგებდნენ ერთმანეთს.**

**● 1965 წელს ამერიკელმა ასტრონომებმა პანიკური ტონით მოახსენეს დედამიწას, რომ აღმოაჩინეს უცნობი მფრინავი ობიექტი. რამდენიმე წუთის დაძაბული სიჩუმის შემდეგ ჰიუსტონში გაიგონეს ზანზალაკების წკრიალი და პირის ჰარმონიკის ხმა, – ეს „სპექტაკლი" თავად კოსმონავტებმა მოაწყვეს.**

**● ლედი დისა და პრინც ჩარლზის საქორწილო ტორტის ერთი ნაჭერი, რომელიც 27 წლის განმავლობაში ინახებოდა, 1200 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. ის ერთმა კოლექციონერმა იყიდა, რა თქმა უნდა, არა შესაჭმელად.**

**● ხუთი წელი დასჭირდა დიდ ბრიტანელ ხანში შესულ ქალბატონ როზა სუეილ ჰოუპს, რომ ფეხით შემოევლო მთელი პლანეტა. ქალმა 32 ათასი კილომეტრი გაიარა.**

**● გამოთქმა „დრო ფულია" ეკუთვნის ბენჯამინ ფრანკლინს, რომელმაც ეს გამოთქმა პირველად თავის თხზულებაში – „რჩევები ახალგაზრდა ვაჭარს" – გამოიყენა და მთელ ამერიკაში, ხოლო შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა.**

ჩვენი კარაბადინი

## ბიო – ნიშნავს სიცოცხლეს

**ჭამის შემდეგ წარმოიქმნება სიმძიმის შეგრძნება? მუცელი პერიოდულად ბუყბუყებს და ჭუჭყუნებს? ხშირია კუჭის მოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემები? არაფერია ამაში გასაოცარი – ეს სიმპტომი ყოველი 10 კაციდან 9-სთვის ცნობილია. დისბაქტერიოზი – კუჭ-ნაწლავთა მიკროფლორის დარღვევა – ხომ პლანეტის მოსახლეობის 90 პროცენტში გვხვდება.**

## ბაქტერიები: კარგები და ცუდები

**შეიძლება, ასეთი მდგომარეობა არც ითვლებოდეს დაავადებად, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად ართულებს სიცოცხლეს და იწვევს სხვა სნეულებათა პროვოცირებას. მიკროფლორის შემადგენლობა ადამიანში – ცვალებადი სიდიდეა. „კარგი" და „ცუდი" მიკრობები მუდმივად ებრძვიან ერთმანეთს ადგილისთვის „მზის ქვეშ", უფრო სწორად რომ ვთქვათ, კუჭ-ნაწლავებში. მანამ, სანამ ორგანიზმში მეტი „კარგი" ბაქტერიაა, ყველაფერი რიგზეა: კუჭ-ნაწლავთა კედლებში ჩასახლებით ისინი გვიცავენ ინფექციებისგან.**

მაგრამ, როგორც კი ბაქტერიები, სხვადასხვა მიზეზის გამო, წყვეტენ აქტიურად გამრავლებას, უპირატესობას უმალვე აღწევენ სტაფილოკოკები, სტრეპტოკოკები და სხვა მიკრობები. ირღვევა დადებითი ბაქტერიული ბალანსი და წარმოიქმნება დისბაქტერიოზი. დაზიანებულ კუჭ-ნაწლავს უკვე აღარ შეუძლია შეასრულოს თავისი ბარიერის ფუნქციები უცხო მიკრობებისა და ტოქსინებისთვის. შედეგად ინფექციურ სნეულებათა რიცხვი იზრდება, ხოლო საკვებიდან სასარგებლო ნივთიერებათა შეწოვა ირღვევა. თანაც მავნე მიკრობები წამლავენ ორგანიზმს თავისი გახრწნის ტოქსიკური პროდუქტებით (ამიაკით, აცეტონით და სხვ.ძ, ძნიან შეუძლებელ დატვირთვას ღვიძლზე, იწვევენ ალერგიის განვითარების პროვოცირებას, ყველაფრის გარდა, დისბაქტერიოზი ცუდად აისახება გარეგნობაზე (კანზე, თმებზე, ფრჩხილებზეძ.



## აღვადგინოთ ბალანსი

**სამწუხაროდ, კუჭ-ნაწლავში ბაქტერიული წონასწორობის მორყევა ბევრ რამეს შეუძლია: ცუდ ეკოლოგიასაც, არასწორ კვებასაც, სტრესებსაც, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებასაც, ზოგიერთ დაავადებასაც. ძალიან ხშირად პრობლემებს გვიქმნის გარკვეული წამლების (განსაკუთრებით ანტიბიოტიკებისძ მიღება.**

ზოგჯერ კუჭ-ნაწლავში მიკროორგანიზმების ბალანსი შეიძლება აღდგეს თავისთავად, მაგრამ უფრო ხშირად ამისთვის ორგანიზმს სჭირდება დახმარება სპეციალური ნივთიერებისა – პრობიოტიკებისა, რომელთა მთავარი წარმომადგენელიცაა ბიფიდო-ლაქტობაქტერიები. კუჭ-ნაწლავში შესვლის დროს ისინი ადვილად ეგუებიან ახალ ადგილს. პრობიოტიკებს შეიძლება შეიცავდნენ წამლებიც, კვების პროდუქტებიც. ბევრ ბიოპრეპარატს უშვებენ მჟავაგამძლე კაფსულებში, რაც ბაქტერიებს საშუალებას აძლევს, მშვიდად გაიარონ კუჭის წვენის აგრესიული მჟავე გარემო და მიაღწიონ დანიშნულების პუნქტამდე. შედეგად ისინი უკვე ტრანზიტად კი არ გაივლიან კუჭ-ნაწლავს, არამედ შეუძლიათ შეჩერდნენ იქ დიდხანს, მისცენ დრო საკუთარი მიკროფლორის აღდგენისთვის.

## დისბაქტერიოზის პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა

**დისბაქტერიოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის შექმნილია სინბიოტიკი ნორმოსპექტრუმი, რომელმაც წარმატებით გაიარა კლინიკური გამოცდა და რომელსაც ეფექტიანად იყენებენ მიკროფლორის დარღვევათა ბიოკორექციისთვის.**

ნორმოსპექტრუმი – ეს არის გაძლიერებული ფორმულა, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია, სადაც ცოცხალი, ანტაგონისტურად აქტიური ბიფიდობაქტერიები და ლაქტობაცილები (ცხრა შტამიძ ეხმარებიან ორგანიზმისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ათ ვიტამინს, თუთიას და სელენს იმ დოზირებით, რომელიც შეესაბამება სადღეღამისო ნორმას, აგრეთვე ინულინსა და ოლიგოფრუქტოზას. ასეთი შემადგენლობა უზრუნველყოფს ბაქტერიების უმაღლეს გამძლეობას კუჭ-ნაწლავში და საიმედოდ ამაგრებს იმუნიტეტს.

ЗДОРОВЬЕ

**შეამოწმეთ ერუდიცია**

**1. რომელი მთაა მსოფლიოში ყველაზე მაღალი?**
ა. აკონკაგუა, გ. კილიმანჯარო,
ბ. ევერესტი, დ. იალბუზი.

**2. რომელი მდინარეა მსოფლიოში ყველაზე გრძელი?**
ა. ამაზონი, გ. მისისიპი,
ბ.იანძი, დ.ნილოსი.

**3. რამდენი ასოა ქართულ ანბანში?**
ა. 31, გ. 33,
ბ. 34, დ. 32.

**4. რომელი ქალაქია იაპონიის ძველი დედაქალაქი?**
ა. კობე, გ. ოსაკა,
ბ. იოკოჰამა, დ. კიოტო

**5. რომელმა მსახიობმა შეასრულა კოტეს როლი კინოფილმში „ქეთო და კოტე"**
ა. გ.შავგულიძემ, გ. ე.მაღალაშვილმა,
ბ. ბ.კრავეიშვილმა, დ. ზ.ანჯაფარიძემ

პასუხები: 1. ბ–ევერესტი, 2. ა–ამაზონი, 3. გ–33, 4. დ–კიოტო, 5. ა–გ.შავგულიძემ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

რუსეთის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა მოილაპარაკეს, რომ იმას, თუ ვინ გახდება 2012 წელს პრეზიდენტი, გადაწყვეტს ხალხი. ამის შემდეგ დაამტკიცეს ხალხის სია...

* * *

თუ ხალხს უკვე არ სჯერა ხელისუფლების მუდმივი დაპირებებისა, ესე იგი, უნდა შეიცვალოს, დაპირებები.



* * *

მაღალი ადამიანური გრძნობებიდან ყველაზე სასიამოვნო და ხელმისაწვდომია პატრიოტიზმი. არაფრის გაკეთება არ არის საჭირო იმის გარდა, რომ იამაყო თანამემამულეთა საქმეებით.

* * *

– ექიმო, არ შეგიძლიათ, რომ მომცეთ ბიულეტენი? ოღონდ წინასწარ უნდა გითხრათ, რომ, თუმცა ავადმყოფობის გამოკვეთილი სიმპტომები არა მაქვს, თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ.

– ჰმ. მაშინ ჯერ თქვენი საფული უნდა გავსინჯო და მერე გადავწყვეტ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოჩულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.